www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 1 სექტემბერი, 2012 წელი. | №3102 (195) | ფასი 50 თეთრი

ცესკო ბოლო პარტიულ სიებს ელოდება

მაგდა ლეკიაშვილი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გუშინ, მთელი დღის განმავლობაში პოლიტიკურ პარტიებს პარტიული სიები შეჰქონდათ. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებში მონაწილე პარტიების პარტიულ და მაჟორიტარულ სიას ოფიციალურად 6 სექტემბერს გამოაქვეყნებს. ცესკო-ს პრეს-სპიკერის ეკა აზარაშვილის განცხადებით, პოლიტიკურმა პარტიებმა ან საარჩევნო ბლოკებმა პარტიული სიები და მაჟორიტარი კანდიდატების სარეგისტრაციო დოკუმენტები დღეს, დღის ბოლომდე უნდა წარადგინონ. კანონის მიხედვით, პარტიული სიების შეტანის ვადა პირველ სექტემბერს, საღამოს 6 საათზე იწურება. ცესკო-ს სპიკერმა ისიც განმარტა, რომ სიებში შესული ის კანდიდატები, რომლებსაც სახელმწიფო თანამდებობა უკავიათ, თანამდებობიდან უნდა გადადგნენ არაუგვიანეს 3 სექტემბრამდე. სწორედ ამის შემდეგ შემოწმდება პარტიული სია.

კანონის მიხედვით, ერთი და იგივე პირი ორ პარტიულ სიაში არ უნდა იყოს; ხოლო მაჟორიტარი კანდიდატების სიებთან ერთად, მათი ნარკოლოგიური ცნობებიც უნდა იყოს წარმოდგენილი.

ცესკო-ში პარტიული სია პირველებმა "ახალმა მემარჯვენეებმა" წარადგინეს. სიის პირველი ათეული ასე გამოიყურება: დავით გამყრელიძე - პარტიის თავმჯდომარე და ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი, ფიქრია ჩიხრაძე - თელავის მაჟორიტარობის კანდიდატი, მამუკა კაციტაძე - საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატი, მანანა ნაჭყებია - ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი, რევაზ სოხაძე - ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი, გიორგი ასათიანი - წყალტუბოს მაჟორიტარობის კანდიდატი, ლევან კალანდაძე - ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატი, გიორგი ლორთქიფანიძე - დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი, ირინა ფრუიძე - პარტიის საერთაშორისო მდივანი, მამუკა მღვდელაძე - ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

რომნი და რაიანი: ამერიკას სწორ გზაზე დავაბრუნებთ

ივა შილაკაძე

ფლორიდის ქალაქ ტამპაში დამთავრდა აშშ რესპუბლიკური პარტიის ყრილობა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად ოფიციალურად დაასახელა მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერნატორი მიტ რომნი, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად კი - კონგრესმენი ვისკონსინიდან პოლ რაიანი. ყველაფერი, ფაქტობრივად, დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

აშშ - რუს უფლებათა დამცველებს: "თქვენ არ ხართ აგენტები"

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა პასუხი გასცა რუსეთის ადამიანის უფლებათა დამცველებს მათ შეკითხვაზე, წარმოადგენენ თუ არა ისინი ამერიკის აგენტებს. საპასუხო წერილში სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, "პრეზიდენტ ბარაკ ობამას თხოვნით", განაცხადა, რომ რუსეთის უფლებათა დამცველების საქმიანობას აშშ არ ხელმძღვანელობს.

ივლისში რუსეთში მიღებული კანონის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უცხოური გრანტებით ფინანსდებიან, ნოემბრიდან უნდა დარეგისტრირდნენ როგორც "უცხოეთის აგენტები" და ფინანსური ანგარიში რამდენიმე თვეში ერთხელ წარადგინონ (ამის შესახებ "24 საათი" დაწვრილებით წერდა). ადამიანის უფლებათა დამცველებმა მიმართეს ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოთხოვნით, განემარტა, წარმოადგენენ თუ არა ისინი "აშშ-ს აგენტებს". აშშ-ს პრეზიდენტისთვის არასამთავრობოების მიმართვამ რუსი დეპუტატების მხრიდან მკაცრი კრიტიკა გამოიწვია.

"ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, გაგვცეთ პასუხი, ვართ თუ არა ჩვენ - "მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფი" და მოძრაობა "ადამიანის უფლებებისათვის" - აშშ-ს აგენტები, ამ სიტყვის სტანდარტული მნიშვნელობით. ანუ უფლებამოსილია თუ არა ეს ორგანიზაცია, შეასრულოს აშშ-ს მთავრობის დავალებები, ზემოქმედებს თუ არა აშშ-ს ხელისუფლება პირდაპირ თუ ირიბად ჩვენი ორგანიზაციების საქმიანობაზე".

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მამაცი ბორნის პარალელური სამყარო

სექტემბრის აფიშას "დიდი გამყინვარების" მეოთხე ნაწილი დახურავს

ია ვეკუა

"ბორნის მემკვიდრეობა"

დღეს პირველი სექტემბერია და ჩვენი კინოთეატრები საშემოდგომო სეზონისთვის იწყებენ მზადებას. როგორც ყოველთვის, არც სექტემბრის აფიშა გამოირჩევა ფილმების სიუხვით, თუმცა ჟანრული მრავალფეროვნება მიანც იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა გემოვნებისა მაყურებელი დაკმაყოფილდეს, მათ შორის, ბავშვებიც, რომელთათვისაც "რუსთაველი" და "ამირანი" ორ ანიმაციურ ფილმს ამზადებენ.

გაგრძელება A6 ვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606	↓
1 ევრო	2.0826	↓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294	↓
1 თურქული ლირა	0.9089	↓
100 რუსული რუბლი	5.1422	↓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კიდევ ერთი ხელნაწერი "ვეფხისტყაოსანი"

ბელა ჩეკურიშვილი

21-ე საუკუნის ხელნაწერი "ვეფხისტყაოსანი" შექმნილია და მასში სრულიად ქართული საზოგადოების წვლილი ძევს. ეს პროექტი თითქმის ერთი წლის წინ დაიწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტფორუმ "ებლიტფოს" მომხმარებელთა ინიციატივით . ფორუმზევე გამოცხადდა, სოციალურ ქსელებში გაზიარდა და ნაცნობიდან ნაცნობში გავრცელდა, რომ 21-ე საუკუნის ქართველები ერთობლივად გადაწერდნენ რუსთაველის პოემას და ამით კიდევ ერთხელ შეახსენებდნენ საკუთრ თავსაც და შთამომავლობასაც იმ საგანძურის მნიშვნელობის შესახებ, რასაც ქართული მწერლობა, კონკრეულად კი "ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს.

ხელნაწერის შექმნაში მონაწილეობა შეეძლო ყველას, ვინც ქართული ანბანი იცოდა და ვისთვისაც ეს ნაწარმოები ფასეულობას წარმოადგენდა. გადამწერს შესაძლებლობა ჰქონდა, მისთვის სასურველი სტროფი აერჩია. გადაწერილი სტროფები "ებლიტფოს" გვერდზე ქვეყნდებოდა, რაც განმეორების ალბათობას ამცირებდა. თავიდანვე განისაზღვრა, რომ პოემას არ ექნებოდა სარჩევი, ისევე როგორც მის სხვა ხელნაწერებს, ქვესათაურებს ერთი კალიგრაფისტი გააკეთებდა. ასევე განისაზღვრა, რომ ხელნაწერი ერთ ეგზემპლარად აიკინძებოდა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის უნიკუმურ გამოცემებს შეემატებოდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

ქეცბაიამ და დელ ბოსკემ შემადგენლობები დაასახელეს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბელორუსისა და ესპანეთის ნაკრებებთან გასამართი მატჩებისთვის, შეკრებაზე გამოძახებულ ფეხბურთელთა გაფართოებული (24-კაციანი) შემადგენლობა დაასახელა.

მეკარეები: გიორგი ლორია ("დინამო", თბილისი), ნუკრი რევიშვილი ("კრასნოდარი", რუსეთი), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი").

მცველები: გურამ კაშია ("ვიტესი", ჰოლანდია), ზურა ხიზანიშვილი ("ქაისერისფორი", თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი ("კრასნოდარი", რუსეთი), გიორგი ფოფხაძე ("ბაქი", აზერბაიჯანი), გია გრიგალავა ("ვოლგა", რუსეთი), უჩა ლობჟანიძე ("კრივბასი", უკრაინა), აკაკი ხუბუტია ("გაზ-მეთანი", რუმინეთი), გიორგი რეხვიაშვილი ("დინამო", თბილისი), დავით კვირკველია ("დილა")

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი ("კარპატი", უკრაინა), ჯაბა კანკავა ("დნიპრო", უკრაინა), ჯანო ანანიძე ("სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი), დავით თარგამაძე ("ილიჩევეცი", უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი ("ილიჩევეცი", უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე ("არსენალი" კიევი, უკრაინა), სანდრო გურული ("დილა") ირაკლი მაისურაძე ("მეტალურგი"), დავით დევდარიანი ("ორჰუსი" დანია).

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ (ᲛᲔᲣᲠᲕᲘᲡ) ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲦᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

N 31/08/05 2012 წლის 31 აგვისტო ქ. თბილისი

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად:

1. 2012 წლის 3 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია ან CV;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

ᲛᲫᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ᲚᲐᲤᲐᲜᲧᲣᲠᲨᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲐ, ᲚᲝᲞᲝᲢᲐᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციის ძირითადი ფაზის დასრულების შემდეგ, სოფელ ლაფანყურში, მთელი ღამისა და დღის განმავლობაში, სამხედრო ტექნიკის ინტენსიური შესვლა-გასვლა აღარ მიმდინარეობდა. იქ არცც სასცრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადები მორიგეობდნენ. სოფელ ლაფანყურის მთელ ტერიტორიაზე მდგომარეობა სიმშვიდე იყო. იქ პოლიცია პატრულირებდა. ხეობაში კი ოპერაცია გრძელდებოდა.

"წუხანდელმა ღამემაც მშვიდად ჩაიარა, ისევე, როგორც გასულმა დღე-ღამემ. სოფელში პანიკა არ არის. მოსახლეობა სოფელს არ ტოვებს," - განაცხადა სოფელ ლაფანყურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბორის ფარკინაშვილმა.

მიმდინარე ოპერაციის დეტალები, გუშინ მთელი დღის განმავლობაში, ოფიციალურად არ გახმაურებულა. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ კვლავ ძებნის ოპერაცია მიმდინარეობდა. სამართალდამცველებმა ოპერაციის ძირითადი ფაზის დასრულებისთანავე

განაცხადეს, რომ ჰქონდათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან გადმოსული დივერსიული ჯგუფის რამდენიმე დაჭრილი წევრი ხეობაში იმალებოდა.

"ოპერაცია კიდევ გრძელდება. იქ იმყოფებიან ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, თუმცა დეტალებს ამ ეტაპზე ვერ გეტყვით," - ასეთი კომენტარები კეთდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში მთელი დღის განმავლობაში.

დივერსიული ჯგუფის ტყვეობიდან გათავისუფლებული ყოფილი მძევლები მომხდარის დეტელებზე საუბრისგან ჯერ-ჯერობით კვლავ თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ თავს კარგად გრძნობენ და არ სურთ ამ თემაზე საუბარი. ერთ-ერთმა ყოფილმა მძევალმა გუშინ უარყო სოფელ ლაფანყურში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა ის და მასთან ერთად მყოფები ფულითა და ტანსაცმლით დაასაჩუქრეს.

"ტყვეობისას კარგად ვიყავით და ახლაც მშვიდად და კარგად ვართ. ის ხმები, რაც სოფელში დადის, თითქოს დაგვასაჩუქრეს, არ შეესაბამება სიმართლეს და მსგავსი არაფერი ყოფილა. რაც შეეხება სხვა საკითხებს, არაფერზე კომენტარს არ ვაკეთებ," - განუცხადა სააგენტო "ინტერპრესნიუსს" ყოფილმა მძევალმა ლევან გარაშვილმა.

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან შეიარაღებული პირების შემოსვლის შესახებ, გუშინ საკუთარი ვერსია გაავრცელა გამოცემა "კავკასცენტრმა".

ინტერნეტგამოცემის ინფორმაციით, სხვადასხვა წყაროების მეშვეობით, ცნობილი გახდა, რომ დაღესტნის ვილაიეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ საქართველოსა და რუსეთისგან მალულად, საქართველო-დაღესტნის საზღვრის ერთ-ერთ მთიან ნაწილში მოხალისე ახალწვეულთა ჯგუფი შეკრიბა, რომლებსაც დაღესტნის ოპერატიული ჯგუფის მხარდაჭერა ევალებოდათ.

"ახალწვეულები დისლოკაციის ადგილის მიმართულებით მოძრაობდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ დაღესტნის ვილაიეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში. ოპერაციის უკანასკნელ ეტაპზე ჯგუფის გადაადგილების მარშრუტის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა. საქართველოს ხელისუფლებამ ახალწვეულთა წინააღმდეგ სპეცრაზმის მსხვილი დანაყოფები და ვერტმფრენები გაგზავნა. ქართულმა მხარემ მოჯაჰედებთან მოლაპარაკებები დაიწყო და მათ იარაღის დაყრა შესთავაზა. საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული დანაყოფის საკუთარ ტერიტორიაზე გამოჩენა პროვოკაციად შეაფასა და ჩათვალა, რომ რუსეთი ამას მორიგი სამხედრო შეჭრის ორგანიზების წინაპირობად გამოიყენებდა," - ნათავამია გამოცემის სტატიაში.

ამავე სტატიის მიხედვით, მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც დღე-ღამეზე მეტ ხანს გაგრძელდა, საქართველოს მხარის შეთავაზებაზე, დაეყარათ იარაღი, მოჯაჰედებმა უარი თქვეს. "კავკასცენტრის" ინფორმაციითვე, ბრძოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

"მომხდარი სისხლისღვრა არ აწყობს არც საქართველოს, რომელიც რუსეთის ახალი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას და არც მუსულმანურ კავკასიას, რომელიც რუს ოკუპანტებს ებრძვის," - აცხადებს ინტერნეტგამოცემის წყარო.

ოპერაციის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპერაციის ამსახველი ვიდეომასალის ნაწილი გამოაქვეყნა, სადაც ორმხრივი სროლის შედეგად დაღუპული შეიარაღებული პირების გარდა, ჩანს ასევე ის შეიარაღება, რაც მოკლულებს საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდათ გადმოტანილი.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ოპერაციის დასრულებამდე, ტერორისტული ჯგუფის წევრების ეთნიკურ კუთვნილებაზე ან წარმოშობაზე განაცხადება არ გაკეთდება.

რაც შეეხება ოპერაციისას დაჭრილ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, ექიმების განცხადებით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. სპეცოპერაციისას გარდაცვლილი სამი ქართველი სამხედროს ოჯახს, გუშინ სამძიმარი გამოუცხადა აშშ-ის საელჩომ.

"აშშ-ის საელჩოს თითოეული თანამშრომელი უერთდება ქართველი ხალხის მწუხარებას სამი მამაცი ქართველი სამხედრო მოსამსახურის - ვლადიმერ ხვედელიძის, სოლომონ წიკლაურისა და არჩილ ჩოხელის გარდაცვალების გამო. მათ ლოპოტას ხეობაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შესწირეს თავი. აშშ-ის საელჩოს სახელით, თანაგრძნობას ვუცხადებ ჯარისკაცების ოჯახებსა და მეგობრებს, აგრეთვე მათ თანამებრძოლებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავენ მშვიდობას საქართველოსა და მთელ მსოფლიოში," - აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის, ბრიჯიტ ბრინკის განცხადებაში.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐ

გასულ წელს, ოქსფორდის უნივერსიტეტის მედიცინის მეცნიერებათა საბჭომ, აკადემიკოს დავით ზარიძეს მოწვეული პროფესორის სტატუსი მიანიჭა. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რადგან აქამდე, პოსტასაბჭოურ სივრცეში მსგავსი ტიტულის ტარების პატივი არავის ჰქონია.

ოქსფორდის უნივერსიტეტისა და დავით ზარიძის თანამშრომლობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შედგა.

დავით ზარიძე 50 წელზე მეტია, რაც მოსკოვში მოღვაწეობს. იგი მოსკოვის ონკოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილეა. აგრეთვე, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რაც შეეხება ოქსფორდის უნივერსიტეტს, ბატონი დავითი იქაურობას პირველად

70-იანი წლების ბოლოს ესტუმრა, იყო უნივერსიტეტის სტიპედიანტი. ასევე, უნივერსიტეტის პროფესორ, სერ რიჩარდ დოლის მოსწავლე.

"24 საათი" დავით ზარიძეს მოსკოვში დაუკავშირდა. როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, ოქსფორდის უნივერსიტეტთან და იქაურ კოლეგებთან დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. თვლის, რომ მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევები გახდა იმის საფუძველი, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას მოწვეული პროფესორის სტატუსი მიანიჭა.

"ოქსფორდის უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, ჩემს კოლეგებთამ საერთო სამეცნიერო გამოკვლევები მაკავშირებს. პროფესორ რიჩარდ დოლის სტიპედიანტი ვიყავი, ადამიანის, რომელმაც პირველმა გამოიკვლია და აღმოაჩინა, რომ თამბაქოს მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს. ამ კუთხით ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები არამარტო რუსეთში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩავატარე. ცოტა ტრივიალურად ჟღერს, მაგრამ მსოფლიოში მთავარი მკვლელი თამბაქოს მოწევაა. ახლა წიგნს ვწერ იმის შესახებ თუ რა ზიანს აყენებს თამბაქოს მოწევა (არამხოლოდ კიბოს თავლსაზრისით), არამედ გულისა და სისხლძარღვების დაავადებების სიკვდილიანობის მხრივ. ასევე, კვლევებს ვაწარმოებ ალკოჰოლიზმზე. რუსეთისთვის ეს ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, ბოლო დროს, თითქმის მთელ მსოფლიოში ალკოჰოლიზმის პრობლემა დადგა. უახლოეს მომავალში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიცაზია ამ პრობლემის პრევენციასთან დაკავშირებით საერთაშორისო კონვენციის მიღებას აპირებს, ისევე როგორც ეს რამდენიმე წლის წინ თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით მიიღეს.

ამ თემაზე ჩემი სტატია საერთაშორისო ჟურნალში "ლანცეტ" 2009 წელს დაიბეჭდა და როგორც საუკეთესო ნაშრომი აღიარეს. ალბათ, ჩემი კვლევები გახდა იმის მიზეზი, რომ ოქსფროდში სამი წლის ვადით მოწვეული პროფესორის ტიტული მომანიჭეს. ოქსფორდში წელიწადში მინიმუმ 3 თვეს ვატარებ. ეს წოდება იმას ნიშნავს, რომ არამხოლოდ სამეცნიერო გამოკვლევები უნდა ჩავატარო, არამედ ლექციებიც წავიკითხო." - ამბობს ჩვენი რესპოდენტი და დასძენს, რომ ვადის გასვლის შემდეგ, თუ უნივერსიტეტი თანამშრომლობის გაგრძელების სურვილს გამოთქვამს, ანალოგიურად უპასუხებს.

ამ ეტაპზე პროფესორი ზარიძე მოლეკულარულ ეპიდემილოგიაზე მუშაობს.

"ვიკვლევთ მემკვიდრეობის როლს კიბოს წარმოქნაში,. ჩვენ ვიცით, რომ მემკვიდრეობის როლი მაქსიმუმ 5-6%-ს წარმოადგენს ნებისმიერ ონკოლოგიურ დაავადებებში. გვაინტერესებს მნიშვნელოვანი გენეტიკური დარღვევები, რომელიც ერთი თაობიდან მეორეში გადადის. მაგალითისთვის, თუAშვილი მშობლისგან განსაკუთრებით დაზიანებულ გენს იღებს, თითქმის 100%-ია იმის ალბათობა, რომ მას ცხოვრების მანძილზე კიბო გაუჩნდება. გარდა ამისა, ვიკვლევთ კიბოს მოლეკულარულ ცვლილებებს, რაც ხელს შეუწყობს სიმსივნის დიაგნოზის დადგენას ადრეულ სტადიაზე. " - ამბობს ზარიძე.

ᲒᲐᲖᲔᲗ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲨᲡ "ᲛᲕᲰ". ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲤᲐᲩᲣᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ცესკო ბოლო პარტიულ სიებს ელოდება

პირველი გვერდიდან

ცესკო-ს "ახლების" სია პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ გადასცა. პარტიულ სიაში სულ 149 ადამიანია. გუნდმა 73 მაჟორიტარული ოლქიდან 54-ში კანდიდატები წარადგინა. კაციტაძე ამბობს, რომ თითოეული მაჟორიტარი პარტიის სტაჟიანი წევრი და თავისი საქმის პროფესიონალია. მათ სიაში არ არიან მომღერლები, სპორტსმენები და მსახიობები, რომლებიც, კაციტაძის თქმით, სხვა პოლიტიკური პარტიების სიებს ისედაც არ აკლია. ამას გარდა, პარტიაში ამბობენ, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ საზოგადოებისთვის მიცემული პირობა არ დაარღვია და სიის ყველა ათეულში რამდენიმე ქალი შეიყვანა.

ცესკო-ს პარტიული სიები გადასცეს "ქართული ოცნების" წევრებმაც. სია ცესკო-ში კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ნოდარ ხადურმა შეიტანა. ხადური ამბობს, რომ სიაში ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა 200-ა, სწორედ ამიტომ "ქართულმა ოცნებამ" ორასკაციანი სია შეადგინა. მისი თქმით, მაჟორიტარები არიან სიის მეხუთე ათეულის შემდეგ, ხოლო სიას ვახტანგ ხმალაძე ასრულებს, რომელიც დიდუბის მაჟორიტარი კანდიდატია.

"სიის დაახლოებით 25%-ს ქალები შეადგენენ. ჩვენ არ გვყავს 21 წლის კანდიდატები, მაგრამ 23-25 წლის კანდიდატები სიაში არიან," - ამბობს ხადური.

კოალიცია გუშინდლამდე არ ახმოვანებდა, ვინ იქნებოდა სიის პირველ ათეულში. გუშინ კი სპეციალურ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა პარტიული სიის 200 წევრი ამოიკითხა. საარჩევნო ბლოკის "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების" პირველი ნომერი კახი კალაძეა, მეორე - პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მანანა კობახიძე, მესამე კი - პარტია "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია.

მიუხედავად იმისა, რომ სიის პირველი ნომერი კახი კალაძეა, ივანიშვილის თქმით, კალაძე, სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარე არ გახდება. ამ თემაზე კოალიციის შიგნითაც არ ყოფილა საუბარი. კალაძე კოალიციის შიგნით უპრეტენზიო აღმოჩნდა (?), რადგან, ივანიშვილის განცხადებით, ყოფილ ფეხბურთელს სადაც დააყენებ, იქ დადგება. კოალიციის ლიდერმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას კალაძესთან პირველი შეხვედრა გაიხსენა და აღნიშნა, რომ, როცა მას ჰკითხა, რა მხრივ შეეძლო კოალიციას გვერდში დადგომოდა ან კოალიციის სახელით სად ეყარა კენჭი, კალაძემ გააწყვეტინა და უთხრა, რომ სადაც საჭირო იქნებოდა, იქ დადგებოდა. როგორც ჩანს, კალაძეს პოზიცია არ შეუცვლია.

"თუ რამე შეიძლება ადამიანზე კარგი თქვა, კახი ყველაფერს იმსახურებს თავისი წარსულიდან გამომდინარე, თუმცა საკმაოდ ახალგაზრდაა თავისი საქმისთვის. ის, რომ კალაძე პოლიტიკაში ახალი სახეა, ესეც საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" არის ახალი დაფუძნებული და ხალხი ახალ სახეებს ითხოვდა. ხალხს ძალიან უნდოდა ახალი სისხლი და ახალი სახე, ამასაც ძალიან კარგად აკმაყოფილებს კახი კალაძე. ასევე, რამდენადაც ბლოკის ლიდერი ჩვენი პარტიაა, ბლოკის სიაშიც ლიდერი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც შემდეგ მოდის ასევე გამოუცდელი მანანა კობახიძე და შემდეგ კი - ირაკლი ალასანია, რომელიც მესამე ნომერია სიაში, მაგრამ ძველ პოლიტიკოსებში ლიდერია", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

"ქართული ოცნების" სიაში არ არის არც ბიძინა ივანიშვილი და არც - მისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე. როგორც ივანიშვილმა განმარტა, ხვედელიძის სიაში ჩასმის საჭიროება არ იყო.

საარჩევნო ბლოკის პარტიულ სიას აგრძელებენ "რესპუბლიკელების" ლიდერი დავით უსუფაშვილი, "ეროვნული ფორუმის" ლიდერი გუბაზ სანიკიძე, "მრეწველების" ლიდერი გოგი თოფაძე, "კონსერვატორების" ლიდერი ზვიად ძიძიგური, "ქართული ოცნების" წევრები ვანო კიღურაძე, დავით საგანელიძე და ირაკლი ღარიბაშვილი. სიის 11-ე ნომერი "ხალხის პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილია. საარჩევნო ბლოკის სიაში შედიან "მწვანეთა პარტიის" ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე და "სოციალ-დემოკრატთა" ლიდერი გია ჟორჟოლიანი.

ოცეულში, ასევე, წარმოდგენილები არიან: "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი, "ოცნების" წევრები - თედო ჯაფარიძე, გელა ხვედელიძე და მაია ფანჯიკიძე, "თავისუფალი დემოკრატებიდან" ნინო გოგუაძე და "ეროვნული ფორუმიდან" გია ხეჩინაშვილი. ოცნების სიაში არ არის "ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარე კახა შარტავა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, გადაწყვეტილება კახა შარტავამ თავად მიიღო და მან თავადვე თქვა უარი სიაში მოხვედრაზე. საკუთარი სამომავლო გეგმების შესახებ კახა შარტავა საზოგადოებას ინფორმაციას პირადად მიაწვდის.

ბიძინა ივანიშვილმა მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბლოკის "ბიძინა ივანიშვილი- ქართული ოცნების" სიაში "სოციალ-დემოკრატებისა" და "მწვანეთა პარტიის" ლიდერები გიორგი ჟორჟოლიანი და გიორგი გაჩეჩილაძე დაასახელა, აღნიშნა, რომ კოალიცია ასეთივე რიგითობას სთავაზობდა "ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიასაც, მაგრამ მან ბოლო წუთებში კოალიციასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა.

"ასეთ რიგითობას ვთავაზობდით "ქართული დასის" ლიდერს ჯონდი ბაღათურიას, თუმცა ბოლო მომენტში რაღაცამ აცდუნა და ჩვენთან საუბრი შეწყვიტა," - განაცხადა ივანიშვილმა. თავად ჯონდი ბაღათურიამ კი ცესკო-ში პარტიული სია გუშინ შეიტანა. სიის პირველი ნომერიც ჯონდი ბაღათურიაა. "ქართული დასის" ათეულში მოხვდა მისი ძმა - ანზორ ბაღათურია.

სიის ათეულს ამ დრომდე ასაიდუმლოებენ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში".

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სპიკერი ჩიორა თაქთაქიშვილი ამბობს, რომ ცესკო-ში პარტიულ სიას მისი გუნდი დღეს შეიტანს. სიის პირველი ათეულის შემადგენლობას თაქთაქიშვილი არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ეს ადამიანები მმართველ გუნდს ოთხწლიანი საარჩევნო გეგმის - მეტი სარგებელი ხალხს - შესრულებაში დაეხმარებიან. ცნობილია, რომ სიის პირველი ნომერი - დავით ბაქრაძე, ხოლო პრემიერობის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი იქნება. ჯერჯერობით უცნობია, მოხვდება თუ არა მმართველი გუნდის სიაში დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზურა ოტიაშვილი. "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" არც ადასტურებენ და არც უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას ზურა ოტიაშვილის მიერ დუშეთის მაჟორიტარობიდან კანდიდატურის მოხსნის შესახებ. თაქთაქიშვილის თქმით, ცესკოში პატიული სიის წარდგენის შემდეგ შეძლებენ მოქალაქეები, გაიგონ, მოხსნა თუ არა კანდიდატურა ოტიაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, კანდიდატურის მოხსნა ოტიაშვილის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვას უკავშირდება. ორი დღის წინ "ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა პროკურატურაში სარჩელი შეიტანა. სოზარ სუბარი "ნაციონალური მოძრაობის" დუშეთში მაჟორიტარობის კანდიდატის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვს. როგორც სუბარი ამბობს, 25 აგვისტოს "ნაციონალური მოძრაობის" დუშეთის მაჟორიტარობის კანდიდატმა ზურა ოტიაშვილმა ამომრჩეველი მოისყიდა. მან ადგილობრივ მოსახლეს 500 ლარი გადასცა, რაც, სუბარის განცხადებით, კანონით აკრძალული ქმედებაა.

"ნაციონალური მოძრაობის" მსგავსად, ცესკო-ში სიებს დღეს, დღის ბოლომდე შეიტანენ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრები. თუმცა ცნობილია, რომ "ქრისტიან-დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა და პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატმა გლდანის საარჩევნო ოლქში ინგა გრიგოლიამ პარტიული სიით პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა. პარტიულ საპარლამენტო მანდატზე უარი თქვეს ქდმ-ს მაჟორიტარობის კანდიდატმა კრწანისის რაიონში ზაზა გაბუნიამ და ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატმა ჯაბა სამუშიამაც.

პარტიის წევრების გადაწყვეტილების შესახებ "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მისი თქმით, პარტიის ლიდერებმა თითქმის გარანტირებულ საპარლამენტო მანდატზე უარის თქმით გაბედული ნაბიჯი გადადგეს.

ინგა გრიგოლია, ჯაბა სამუშია და ზაზა გაბუნია პარლამენტში შესასვლელად მხოლოდ მაჟორიტარების მანდატით იბრძოლებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დამარცხების შემთხვევაში ისინი პარლამენტს მიღმა დარჩებიან.

ინგა გრიგოლიას განცხადებით, ეს იყო პარტიასთან შეთანხმებული მისი პირადი გადაწყვეტილება. გრიგოლიას თქმით, მისი მთავარი მიზანი გლდანელების მიერ მისთვის ნდობის გამოცხადება და გლდანის საარჩევნო ოლქში "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის დამარცხებაა.

აშშ-ს საელჩო დაღუპული სპეცრაზმელების ოჯახებს თანაგრძნობას უცხადებს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო დაღუპული სამი ქართველი სამხედროს ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

"აშშ-ს საელჩოს თითოეული თანამშრომელი უერთდება ქართველი ხალხის მწუხარებას სამი მამაცი ქართველი სამხედრო მოსამსახურის - ვლადიმერ ხვედელიძის, სოლომონ წიკლაურისა და არჩილ ჩოხელის გარდაცვალების გამო. მათ ლოპოტას ხეობაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შესწირეს თავი. აშშ-ს საელჩოს სახელით, თანაგრძნობას ვუცხადებ ჯარისკაცების ოჯახებსა და მეგობრებს, აგრეთვე მათ თანამებრძოლებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავენ მშვიდობას საქართველოსა და მთელ მსოფლიოში", - ნათქვამია აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებაში.

""ქართული ოცნება" არჩევნების შემდეგ არეულობის გამოწვევისთვის ემზადება"

"ქართული ოცნება" თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობისთვის კი არა, არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევისთვის ემზადება", - ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე "ნაციონალური მოძრაობის" სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ამას კოალიციის ლიდერის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნები აფიქრებინებს.

"ეს გულისხმობს სახელმწიფო უწყებებისგან მთელი რიგი კანონების მოქმედების შეჩერებას. საქართველოს პრეზიდენტმა და "ნაციონალურმა მოძრაობამ" გამოვხატეთ მზადყოფნა, რომ არჩევნები იყოს საქართველოს ისტორიაში ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი. ამიტომ მხარი დავუჭირეთ ახალ საარჩევნო კოდექსს. შეიქმნა მრავალპარტიული კომისია სიების გადამოწმების მიზნით, ამოქმედდა Must Carry-ის პრინციპი, შევუერთდით ქცევის კოდექსს, რომელიც შემუშავებული იყო სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების საფუძველზე, "ქართული ოცნება" კი დოკუმენტში არსებული პრინციპების გაზიარებაზე უარს აცხადებს. კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, თუ შესრულდება მის მიერ წაყენებული მოთხოვნები, რომელთაგან უმეტესობის შესრულება სახელმწიფო უწყებებისგან კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონების მოქმედების შეჩერებას გულისხმობს," - განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

"ნაციონალური მოძრაობა" მოუწოდებს "ქართულ ოცნებას", დაიცვას კანონის მოთხოვნები, თავი შეიკავოს სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობისგან და აღიაროს არჩევნების შედეგები, რომელსაც, თაქთაქიშვილის თქმით, დაადასტურებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მიუკერძოებელი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები.

რამაზ ნიკოლაიშვილმა თანამდებობა დატოვა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა თანამდებობა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. ამის შესახებ განცხადება რამაზ ნიკოლაიშვილის "ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

სოფელ ლაფანყურში მშვიდობისთვის სავედრებელი პარაკლისი აღევლინა

სოფელ ლაფანყურის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მშენებარე ტაძართან მამა მიქაელმა მშვიდობისთვის სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა. "ისე, როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე კახეთის რეგიონისთვის ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების მშვიდობიანად დასრულება მნიშვნელოვანია," - განუცხადა მამა მიქაელმა "ინტერპრესნიუსს".

3 სექტემბერს სოფელ ლაფანყურს ალავერდის მიტროპოლიტი მეუფე დავითიც ეწვევა და სოფლის მოსახლეობასთან ერთად მშენებარე ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენს.

IDS Borjomi Beverages-ს "ბორჯომის" გაყიდვა სურს

კომპანია IDS Borjomi Beverages-ი, რომელიც ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის სახელს უკავშირდება, "ბორჯომის" გაყიდვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ამის შესახებ რუსული გამოცემა "კომერსანტი" იუწყება. გამოცემის ცნობით, ბრენდით უკვე დაინტერესდნენ რუსული და დასავლური ფონდები, გარიგების შესაძლო თანხა კი 400-500 მილიონი დოლარია.

როგორც რუსული წყაროები წერენ, კომპანია IDS Borjomi Beverages-ი "ბორჯომის" აქციების 87%-ზე მეტის მფლობელია, დანარჩენი ნაწილი კი კომპანიის მენეჯერებს ეკუთვნით. "ბორჯომის" ქარხნის გარდა, კომპანიას ეკუთვნის ორი ქარხანა უკრაინაში, რომლებიც "მირგოროდისა" და "მორშინის" წყლებს ასხამენ. კომპანიის გაყიდვების ოდენობა 2009 წელს ნახევარი მილიონი ბოთლი იყო.

რუსული გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ისევ ბერეზოვსკის ფიგურის გამო, შესაძლოა, "ბორჯომის" გაყიდვა გართულდეს, რადგან მოსალოდნელია, რომ მაქინაციებში დადანაშაულებული ბიზნესმენის ნებისმიერი გარიგება რუსეთის სასამართლოში გასაჩივრდეს.

"ოცნება" სიების კომისიას მიკერძოებულობაში ადანაშაულებს

მაგდა ლეკიაშვილი

"ქართული ოცნების" წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა გუშინ სიების დაზუსტების კომისიაში საკუთარი კარდაკარის შედეგად აღმოჩენილი უზუსტობების სია მიიტანა. როგორც ქუცნაშვილი ამბობს, ეს მონაცემები ახალ სიებთან არის შედარებული და ხარვეზებიც გამოიკვეთა. "ქართული ოცნების" წარმომადგენლის განცხადებით, ზუგდიდში 4 ათასზე მეტი არასწორი მონაცემია, რომელიც სიების დაზუსტების კომისიის კარდაკარმა არ ასახა. ასევე, დარღვევებია თიანეთში, სადაც 120 უზუსტობა დაფიქსირდა. კოალიციის წევრები დღეს, დღის ბოლომდე სიების დაზუსტების კომისიის რეგიონულ ოფისებში სხვადასხვა რაიონში აღმოჩენილ უზუსტობებსაც წარადგენენ.

"ქართული ოცნება" სიების დაზუსტების კომისიისგან მათ მიერ აღმოჩენილი უზუსტობების ერთიან სიაში აღმოფხვრას და შემდეგ ამ სიის კოალიციისთვის გადაცემას ითხოვს. ქუცნაშვილს ასევე უნდა, რომ კაციტაძემ მას 17 აგვისტოს შეტანილ უზუსტობებზე პასუხი გასცეს. სწორედ 17 აგვისტოს დაასრულა "ქართულმა ოცნებამ" ამომრჩეველთა სიების გადამოწმება. მაშინ ქუცნაშვილი ამბობდა, რომ მზად იყო სახელმწიფო კომისიასთან თანამშრომლობისთვის. ქუცნაშვილის თქმით, კოალიციამ 350 ათასი უზუსტო მონაცემი მოაგროვა. დაახლოებით 9 ათასი ამომრჩეველი ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ იყო. როგორც მამუკა კაციტაძე ამბობს, ამ ადამიანებისგან მხოლოდ 20-მდე აღმოჩნდა ისეთი, რომელიც გადამოწმების შემდეგ სიაში არ დაფიქსირდა. რეალურად, სურათი შემდეგი იყო: ამომრჩეველი რეგისტრირებული ერთ მისამართზე გახლდათ, თუმცა ამბობდა, რომ სხვაგან სურდა ხმის მიცემა და ამია თაობაზე განცხადებასაც ავსებდა. მას შემდეგ, რაც ეს მოქალაქეები გადამოწმდნენ, აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანი სიაში იყო.

სიების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ კანონი მას მხოლოდ ორ რამეს ავალდებულებს: 1) ცესკო-ს გადაუგზავნოს ერთიანი სია; და 2) ეს სია გაასაჯაროოს. კაციტაძე ამ ორივე პირობას 14 დღის შემდეგ შეასრულებს. კონკრეტული პარტიებისთვის გადამოწმებული სიების გადაცემის ვალდებულება კომისიას არ აქვს.

კაციტაძის ამ პასუხმა ზაქარია ქუცნაშვილი გააღიზიანა. მისი თქმით, სიების კომისიის თავმჯდომარე მიკერძოებულია და მას სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ სურს.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

 წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა

უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 71

1.თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი წარმართავს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:

,,მე საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის".

2.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღისან მესამე კვირა დღეს. პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პრეზიდნეტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელება შეუძლია მხოლოდ ფიცის დადების მომენტიდან, გამომდინარე აქედან საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. ახლადარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. ფიცის დადებას უკავშირდება აგრეთვე პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა, რომლის შემდეგაც პრეზიდენტი სარგებლობს სპეციალური იმუნიტეტით. პრეზიდენტი ხელშეუვალია თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. ქვეყნის პრეზიდენტი მიიჩნევა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის გარანდატ, რომელიც ვალდებულია მოქმედებდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატის ან სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებული ცერემონიალი ანუ ინაუგურაცია იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის (06.02.2004. #3272)

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

2010 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველოს პრეზიდენტს შეუზღუდა ასევე პარტიული თანამდებობის დაკავების უფლება. ეს ცვლილება ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

მზია ფუტკარაძე
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადა ეროვნულ და შედარებით კონსტიტუციურ სამართალში და II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის

2012 წლის 2-9 სექტემბერს, საქართველო, ბათუმში უმასპინძლებს II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის ფინალურ ეტაპს ეროვნულ და შედარებით კონსტიტუციურ სამართალში და საერთაშორისო სტუდენტურ საზაფხულო სკოლას თემაზე - ეროვნული და შედარებითი კონსტიტუციური სამართლის დილემები. მონაწილეობენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები შვიდი სახელმწიფოს წამყვანი უმაღლეს სასწავლებლებიდან. ფინალურ ეტაპს, აღნიშნულ სახელმწიფოებში, წინ უსწრებდა შიდასაუნივერსიტეტო და შიდარესპუბლიკური შესარჩევი ტურები. ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე მონაწილე სახელმწიფო წარმოდგენილია რამდენიმე სტუდენტით. საკონკურსო სტატიათა პრეზენტაციის შედეგების საფუძველზე, ყოველი
სახელმწიფოდან ერთ გამარჯვებულს. ოლიმპიადაში მონაწილეთათვის სხვადასხვა ნომინაციებში პრიზები დააწესეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ. II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის მონაწილეები 5-7 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სტუდენტურ საზაფხულო სკოლაში, სადაც ლექციებს წაიკითხავენ პროფესორ-მასწავლებლები ოლიმპიადაში მონაწილე სახელმწიფოთა წამყვანი უმაღლეს სასწავლებლებიდან.

ქ.ბათუმი, სოქაროვაზე ა.მუსხანოვის ქ.№26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

რომნი და რაიანი: ამერიკას სწორ გზაზე დავაბრუნებთ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შტატების წინასწარ არჩევნებში რომნიმ გადამწყვეტი უპირატესობა დაახლოებით სამი თვის წინ მოიპოვა, ყრილობამ მათ კანდიდატურებს სამშაბათს უყარა კენჭი, მაგრამ ფორმალობა მოითხოვდა, რომ პრეტენდენტებს თანხმობა ოფიციალურად საკუთარი საპროგრამო გამოსვლების შემდეგ განეცხადებინათ. რაიანი ოთხშაბათს გამოვიდა სიტყვით, რომნი - ხუთშაბათს (ჩვენი დროით, უკვე პარასკევს, ღამით).

პოლ რაიანის სიტყვა ძალიან მოეწონათ რესპუბლიკელებს, რადგან ის თითქმის მთლიანად პასუხობდა პარტიის უმრავლესობის პოზიციას. მან თქვა: "ჩვენ არ ვაპირებთ ოთხი წლის გატარებას სხვების ბრალდებებში. ჩვენ ვაპირებთ პრობლემების გადაწყვეტას და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას". "ჩაკეტილ წრეზე ოთხი წლის სიარულის შემდეგ ამერიკა სწორ გზას უნდა დაუბრუნდეს და ამას გუბერნატორი მიტ რომნი გააკეთებს". მან დასძინა, რომ, პირველ რიგში, ეკონომიკური პრობლემები იქნება გადასაწყვეტი. იმავე პათოსით გამოვიდა ერთი დღის შემდეგ მიტ რომნი. ოთხშაბთს ის ყრილობას არც ესწრებოდა და არანაკლებ მნიშვნელოვანი სიტყვით გამოვიდა ინდიანაპოლისში ვეტერანების, კერძოდ, კონსერვატიული ორგანიზაციის "ამერიკული ლეგიონის" წევრების წინაშე. ცხადია, მან იქაც თავის ხედვაზე და ამერიკის მსოფლიო ლიდერობაზე ილაპარაკა. ხუთშაბათს ყრილობაზე მიტ რომნიმ განაცხადა, რომ ბიზნესში თავის გამოცდილებას ის ამერიკის საკეთილდღეოდ გამოიყენებს (მან ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა) და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მოქმედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ასეთი გამოცდილება არ გააჩნია, რაც მის საქმიანობასაც ეტყობა. რომნიმ პირობა დადო, რომ მისი მმართველობის 4 წლის განმავლობაში ამერიკაში 12 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება. მან ამერიკელებს მოუწოდა, დაძლიონ ობამას პოლიტიკით იმედგაცრუება. რომნიმ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ გააუქმებს მოქმედი პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ ჯანდაცვის რეფორმას. მისი გამოსვლის სათაურად შერჩეული იყო სლოგანი "ჩვენ გვჯერა ამერიკის".

საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას რესპუბლიკელების ლიდერებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ შეერთებული შტატები კარგავს ლიდერის როლს მსოფლიოში და ეს სიტუაცია სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. რომნის სიტყვებით, საჭიროა მოკავშირეების უკეთესი დაცვა (მან პირველ რიგში დაასახელა ისრაელი, პოლონეთი და ევროპის სხვა სახელმწიფოები) და მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობაში მეტი სიმტკიცის გამოჩენა. მან თქვა, რომ ნოემბრის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში "ჩვენი მეგობრები იგრძნობენ მეტ მხარდაჭერას აშშ-სგან, ხოლო ბატონი პუტინი ცოტა ნაკლებ მოქნილობას და მეტ სიმტკიცეს დაინახავს". (ეს, ცხადია, იყო მორიგი რეპლიკა ობამას მიმართ. ყველას ახსოვს აშშ-ს მოქმედი პრეზიდენტის მიერ დმიტრი მედვედევისთვის ნათქვამი სიტყვები პუტინისთვის გადასაცემად, რომელიც შემთხვევით გაიგონეს ჟურნალისტებმა და შემდეგ მთელმა მსოფლიომ: "არჩევნების შემდეგ მე უფრო მოქნილი ვიქნები").

არჩევნებში დასახელებული პრეტენდენტების მხარდასაჭერად რესპუბლიკელების ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ პარტიის სხვა გავლენიანი ლიდერები, კერძოდ, სენატორი და წინა საპრეზიდენტო კანდიდატი ჯონ მაკკეინი, სახელმწიფო მდივანი ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციაში კონდოლიზა რაისი და პარტიის ამომავალი ვარსკვლავი, 41 წლის სენატორი (წარმოშობით კუბელი) მარკო რუბიო. ეს უკანასკნელი აქტიურად არის დაკავებული რომნის მხარდაჭერით და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი "ლათინურამერიკელი" ამომრჩევლის გადაბირებას. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გამოსვლა ჰქონდა კონდოლიზა რაისს. მისი სიტყვა ბევრმა შეაფასა, როგორც საჯარო პოლიტიკაში დაბრუნება. "კონდიმ", ცხადია, უმთავრესად საგარეო პოლიტიკაზე ილაპარაკა. ის ვრცლად შეეხო არაბულ გაზაფხულს, სირიასა და ერაყში არსებულ პრობლემებს, ჩინეთისა და რუსეთის წინააღმდეგობას. მან ხაზი გაუსვა, რომ ბოლო წლებში ამერიკის საგარეოპოლიტიკური კურსი ჩამოუყალიბებელია, ქვეყანა კარგავს პრესტიჟს და თავის მდგომარეობას მსოფლიოში. რაისის სიტყვებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის პოზიცია გამოკვეთილი და ურყევი იყო - ადამიანისა და ბაზრის თავისუფლება. თუ ამერიკა ლიდერის პასუხისმგებლობას მოიხსნის, ან ქაოსი დამკვიდრდება, ან ლიდერის როლს თავის თავზე აიღებენ მოწინააღმდეგეები, ვინც ამ ფასეულობებს არ იზიარებენ. "მეგობრებო, ჩვენ არჩევანი არ გვაქვს," - მიმართა მან რესპუბლიკელების ყრილობას.

ყრილობის შემდეგ რომნიმ სოციოლოგიურ გამოკითხვებში კვლავ გადაასწრო ობამას. ამჯერად მისკენ იხრება ამომრჩეველთა 44 პროცენტის სიმპათია, მოქმედი პრეზიდენტის 42 პროცენტის წინააღმდეგ. თუმცა ეს მოკლევადიანი ნახტომია და სიტუაცია კვლავ შეიძლება შეიცვალოს დაახლოებით ერთ კვირაში, ამჯერად დემოკრატების ყრილობის შემდეგ.

მთავარია, ვინ იქნება წინ 6 ნოემბერს. განსხვავება ძალიან მცირეა და სწრაფად იცვლება ერთი თუ მეორე კანდიდატის სასარგებლოდ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთებას ჯერ ვერც ერთი სერიოზული ექსპერტი ვერ ბედავს.

აშშ - რუს უფლებათა დამცველებს: "თქვენ არ ხართ აგენტები"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ეს ნათქვამია ზემოხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლების - "მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის" ხელმძღვანელის ლიუდმილა ალეკსეევასა და მოძრაობა "ადამიანის უფლებებისათვის" ლიდერის ლევ პანომარიოვის აშშ პრეზიდენტისადმი მიმართვაში.

"მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის" საიტის თანახმად, სახელმწიფო დეპატრამენტის საპასუხო წერილი ალეკსეევასა და პონომარიოვს მოსკოვში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებმა გადასცეს.

თავის პასუხში ჰილარი კლინტონი რუსეთის უფლებათა დამცველებს მადლობას უხდის "შინაარსიანი წერილისთვის". "ყველა ამერიკული ადმინისტრაცია მხარს უჭერს თქვენი ორგანიზაციის მნიშვნელოვან მუშაობას, რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვასა და ადამიანის უფლებათა სფეროში სიტუაციის გაუმჯობესებისთვის," - ნათქვამია ვაშინგტონის პასუხში. "პასუხად თქვენს კონკრეტულ კითხვაზე იმის შესახებ, წარმოადგენენ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ ამერიკულ დაფინანსებას, ამერიკის ხელისუფლების "აგენტებს", უფლება მომეცით, კატეგორიულად განვაცხადო: ჩვენ არათუ არ ვაკისრებთ მიზნებს თქვენს ორგანიზაციას და არ ვმართავთ მის ქმედებებს, არამედ ამის გაკეთების არანაირი სურვილი არ გვაქვს," - საუბარია წერილში, რომელიც "მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის" საიტზე განთავსდა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპატრამენტში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ "არასამთავრობო ორგანიზაციების, რომლებსაც მხარს უჭერს აშშ, მათ შორის, "მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფისა" და მოძრაობის "ადამიანის უფლებებისათვის", პრიორიტეტები და საქმიანობა იმართება ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, მათი თანამშრომლებისა და აქტივისტების და არა - დონორების მიერ".

ცოტა ხნით ადრე ალეკსეევა აცხადებდა, რომ "მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფი" არ დარეგისტრირდება რუსეთში, როგორც "უცხოეთის აგენტი". მოძრაობამ "ადამიანის უფლებებისათვის" და "სამოქალაქო ხელშეწყობის" კომიტეტმა ასევე პირდაპირ განაცხადეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ მიღებულ ახალ კანონს ბოიკოტს გამოუცხადებენ. "უცხოეთის აგენტად" დარეგისტრირებაზე უარი განაცხადა "ჰიუმან-რაითს ვოტჩის" (Human Rights Watch) მოსკოვის ბიურომაც.

ვაშინგტონმა თავიდანვე დააფიქსირა თავისი ოფიციალური დამოკიდებულება რუსეთში მიღებული კანონის მიმართ. ეს კანონი კაბალურ მოთხოვნებს უყენებს ადამიანის უფლებათა დამცველებს, იმ ჯგუფებს, რომლებიც გამოდიან კორუფციის წინააღმდეგ და იცავენ დემოკრატიას. ის უსაფუძვლოდ წარმოაჩენს მათ "უცხოეთის აგენტებად" მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უცხოური ფულითფინანსდებიან. ეს განცხადება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა 24 ივლისს ოფიციალურ ბრიფინგზე გააკეთა. მან ასევე შეშფოთება გამოთქვა, რომ ეს კანონი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებისა და ორგანიზაციების დაშინების მცდელობას, როდესაც ისინი ყველაზე მეტად სჭირდება რუსეთს - თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განსავითარებლად, საზოგადოების, რომელიც თავისუფალი იქნება კორუფციისგან, დაფუძნებული იქნება კანონზე და დაფასებული იქნება ადამიანის უფლებები. მაგალითისთვის, ნულანდმა აშშ მოიყვანა, სადაც, მისი სიტყვებით, კერძო ორგანიზაციებს შეუძლიათ, თავისუფლად და კანონიერად მოიზიდონ ფინანსები საზღვარგარეთიდან და მიიღონ გრანტები სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგანაც.

არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ მიღებული რუსული კანონის მხარდამჭერებსაც ხშირად მაგალითად სწორედ შეერთებული შტატები მოჰყავთ, სადაც, მათი მტკიცებით, მოქმედებს ანალოგიური და ხანდახან უფრო მკაცრი შეზღუდვებიც იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან.

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ჩურკინი სირიის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციების აკრიტიკებს

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა სირიის მისამართით დაწესებული სანქციების მოხსნაზე გააკეთა მოწოდება. აღნიშნულის შესახებ სხდომაზე ორგანიზაციაში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა. რუსმა დიპლომატმა გაეროს იმ წარმომადგენლებსაც დაუჭირა მხარი, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე "უსაფრთხო ზონის" შექმნის შესაძლებლობას სკეპტიკურად შეხვდნენ.

"იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ანტისირიული სანქციები დააწესეს, მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ მოხსნან ისინი. ეს სანქციები გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით შემოიღეს და სირიის კრიზისის მოგვარებასთან საერთო არაფერი აქვს. ისინი ჩვეულებრივი მოქალაქეების ცხოვრებას ართულებენ," - განაცხადა ჩურკინმა.

სირიის მისამართით ამ დროისათვის ამერიკის, ევროკავშირისა და არაბული ლიგის მიერ დაწესებული ცალმხრივი სანქციები მოქმედებს.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეტ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ლტოლვილთა ნაკადს უკვე ვეღარ უმკლავდება. მინისტრის თქმით, ყოველდღიურად სირია-თურქეთის საზღვარს 4000 სირიელი ლტოლვილი კვეთს. მან სირიაში უსაფრთხოების ზონების შექმნის იდეა დააყენა, რომელსაც ასევე არ უჭერენ მხარს რუსეთი და ჩინეთი. ცხადია, ამის წინააღმდეგია თვით სირიის მმართველი რეჟიმიც.

პენტაგონი ბინ ლადენის შესახებ წიგნის ავტორს აფრთხილებს

გუშინ პენტაგონი სისხლის სამართლის დევნით დაემუქრა ყოფილ სპეცრაზმელ მეთ ბისონეტს, რომელმაც ცოტა ხნის წინ "მარკ ოუენის" ფსევდონიმით ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ წიგნი გამოსცა. ეს ოპერაცია "ზღვის კატებმა" ჩაატარეს. გაფრთხილებაში საუბარია, რომ ბისონეტმა დაარღვია ფედერალური კანონი სახელმწიფო საიდუმლოს შენახვის შესახებ.

წიგნში, რომლის სახეწლოდებაც არის "No Easy Day", ბისონეტი აბოტაბადში სპეცოპერაციის დეტალებს ყვება, რომელიც საზოგადოებისათვის ამ დრომდე ცნობილი ოფიციალური ინფორმაციისაგან რამდენადმე განსხვავდება. წიგნი საცალო ქსელში მომავალ კვირაში უნდა გამოვიდეს. აშშ თავდაცვის სამინისტროს იურისტებმა მეთ ბისონეტი გააფრთხილეს, რომ მან დაარღვია შეთანხმება საიდუმლოს შენახვის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა. ბისონეტს 2007 წელს აქვს ხელი მოწერილი ორ ხელწერილზე სახელმწიფო საიდუმლოს დაცვის შესახებ. პენტაგონის იურისტებს წიგნის შინაარსი წინასწარ არ აქვთ შემოწმებული სახელმწიფო საიდუმლოების მასში არსებობის კუთხით და სწორედ ეს იწვევს მათ შეშფოთებას. ერთი კვირის წინ, წიგნის პრეზენტაციის დროს გამომცემლებმა განაცხადეს, რომ წიგნი, მასში სახელმწიფო საიდუმლოების არსებობის თაობაზე სპეცრაზმის იურიდიულმა კონსულტანტმა შეამოწმა.

ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩთან სასამართლო წააგო

განდევნილმა რუსმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ წააგო სასამართლო თავის ყოფილ საქმიან პარტნიორთან, ჩუკოტკის ყოფილ გუბერნატორსა და ლონდონის საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" მფლობელთან, მილიარდერ რომან აბრამოვიჩთან. ლონდონის კომერციული სასამართლოს მოსამართლე ელიზაბეტ გლოსტერმა განაცხადა, რომ "უარყოფს ბატონი ბერეზოვსკის სარჩელს "სიბნეფტის" და "რუსალის" მიმართ". ბერეზოვსკი აბრამოვიჩს, სარჩელის თანახმად, ექვს მილიარდ დოლარს სთხოვდა მათ შორის არსებული სიტყვიერი შეთანხმების დარღვევისთვის. მოსამართლის აზრით, მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო, ხოლო მოსარჩელე პერიოდულად სასამართლოს ყალბ ჩვენებებს აძლევდა. აბრამოვიჩმა კი გლოსტერზე სულ საწინააღმდეგო შთაბეჭდილება დატოვა - ის კონკრეტულად პასუხობდა მისთვის დასმულ შეკითხვებს და ცდილობდა გაეხსენებინა ყველაფერი, რასაც რაიმე შეხება ჰქონდა საქმესთან. ბერეზოვსკი განაჩენის კითხვისას ემოციას, ფაქტობრივად, არ გამოხატავდა, ხოლო აბრამოვიჩი სხდომას არ ესწრებოდა. მოგვიანებით, ჟურნალისტებთან საუბრისას ბერეზოვსკიმ ლონდონის სასამართლო მოსკოვის ბასმანის სასამართლოს შეადარა "მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ვერდიქტი პირადად პუტინმა დაწერა," - თქვა მან.

ავარიას ბაქოში 6 ადამიანი ემსხვერპლა

ბაქოში ავტობუსისა და მატარებლის შეჯახებას ოფიციალური ვერსიით, სულ ცოტა, ექვსი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. გამოძიების ვერსიით, შეჯახება ავტობუსის მძღოლის ქმედებამ გამოიწვია, რომელიც თავად ცოცხალი გადარჩა. აზერბაიჯანის საგზაო პოლიციის ვერსიით, ავტობუსის მძღოლმა აკრძალული მანევრის შესრულება გადაწყვიტა: შლაგბაუმს გვერდი აუქცია და მოახლეებული მატარებლის გადასწრება სცადა. აზერბაიჯანის პრაკურატურამ უარყო თავიდან გავრცელებული ინფორმაცია მძღოლის დაღუპვის შესახებ. პროკურატურის განცხადებით, მას მძიმე ტრამვები აქვს და უახლოეს საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ესპანეთში ხანძარმა მარბელამდე მიაღწია

ესპანეთის სამხრეთით ძლიერმა ხანძრმა ცნობილ კურორტ მარბელამდეც მიაღწია, საიდანაც ხელისუფლებამ ათასობით ადამიანი გაიყვანა. მიჯასის (ქალაქი მარბელსა და მალაგას შორის) მერის ანგელა ნოზალის განაცხადებით: "საშინელი ხანძარია. მისი ალი 10-15 მეტრს აღწევს." ხანძრის შედეგად ორი ადამიანია დაშავებული.

მოამზადა თამთა კახაძემ

მამაცი ბორნის პარალელური სამყარო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"მამაცი"

თავისთვის საინტერესოს ნახავს ვიდეოთამაშების მიხედვით გადაღებული ფილმების მოყვარულებიც და ისინიც, ვისაც ძალიან აინტერესებს, რა მემკვიდრეობა დატოვა ჯეისონ ბორნმა.

სექტემბრის აფიშას ფანტასტიკისა და რომანტიკული დრამის ნაზავი "პარალელური სამყაროები" (Upside Down) გახსნის (6 სექტემბრიდან). ფილმს საკმაოდ საინტერესო და ორიგინალური ანოტაცია აქვს და მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვნახოთ, თუ როგორ შეძლო მისი განხორციელება არგენტინელმა დებიუტანტმა ხუან დიეგო სოლანასმა. "პარალელურ სამყაროში" ორი პლანეტაა, ორივე ადამიანებითაა დასახლებული, თუმცა როგორც რეალურ სამყაროშიც ხდება, ერთი მეორეს ხარჯზე არსებობს. ზემოთ მდებარე პლანეტა ძალიან მდიდარია, მას მართავს კორპორაცია, რომელიც ქვედა პლანეტის წიაღისეულს მოიხმარს, სანაცვლოდ კი მხოლოდ ენერგიას გასცემს. პლანეტებს შორის მიმოსვლა მკაცრად კონტროლდება, ალბათ დაახლოებით ისე, როგორც მექსიკისა და ამერიკის საზღვარზე ხდება, მაგრამ ამავე საზღვრის მსგავსად აქაც შეიძლება უჩუმრად გადაადგილება. ფილმის მთავრი გმირები არიან გოგონა მდიდარი პლანეტიდან (კირსტენ დანსტი) და ბიჭი ღარიბი პლანეტიდან (ჯიმ სტარჯესი). სწორედ მათ უწევთ თანამედროვე რომეოსა და ჯულიეტას როლების შესრულება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წყვილის ურთიერთობაზე არა მხოლოდ მათი, არამედ ორივე პლანეტის მომავალია დამოკიდებული.

13 სექტემბრიდან კინოთეატრები პატარა მაყურებელსა და "დისნისა" და "პიქსარის" პროდუქციის მოზრდილ მოყვარულებს იწვევს. სწორედ ამ დღეს გამოვა ანიმაციური "მამაცი". აღსანიშნავია, რომ "მამაცი" "პიქსარის" პირველი ზღაპარი გახლავთ, ამიტომ საინტერესოა, როგორ გაართვა თავი ამ ჟანრს არა ერთი ბრწყინვალე ნამუშევრის ავტორმა კომპანიამ. "მამაცი" მსოფლიო გაქირავებაში ივნისში გამოვიდა, ამრიგად მის შესახებ დაწერილი რეცენზიები დიდი ხანია არსებობს, მათი შინაარსი კი მხოლოდ ერთზე მეტყველებს - "პიქსარი" კვლავაც ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას კომპიუტერული ანიმაციის ბაზარზე. "მამაცი" გამოგონილი ისტორიაა, თუმცა დაკვირვებული მაყურებელი მასში უთუოდ ამოიკითხავს ჰანს კრისტიან ანდერსენისა და ძმები გრიმების ზღაპრების ფრაზებს. უფრო დაკვირვებული კი აუცილებლად შეამჩნევს Pizza Planet-ის ფურგონის ხის მოდელს "პიქსარის" სხვა ფილმებიდან, ხოლო ერთ კადრში მოჩანს დაფა "მონსტრების კორპორაციის" პერსონაჟ სალის გამოსახულებით. "კორპორაციის" მეორე ნაწილი მომავალ წელს გამოდის და, როგორც ჩანს, "პიქსარი" ამით შეგვახსენებს, რომ წინ კიდევ ერთი ანიმაციური დღესასწაული გველის.

ამავე დღეს გამოდის "ბორნის მემკვიდრეობაც", ფილმი, რომელიც ცნობილი ფრენჩაიზის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ, თუმცა რეალურად ეს სულ სხვა ისტორიაა. რეჟისორმა ტონი გილროიმ წინა პლანზე ჯერემი რენერის პერსონაჟი არონ კროსი გამოიყვანა, სიუჟეტი კი პოლ გრინგრასის "ბორნის ულტიმატუმის" პარალელურად ვითარდება. ამ ფილმის გადაღება "ულტიმატუმის" გამოსვლის შემდეგ დაიგეგმა, თუმცა პოლ გრინგრასმა აღარ ისურვა ფრენჩაიზზე მუშაობის გაგრძელება, რასაც პროექტიდან მეტ დეიმონის წასვლაც მოჰყვა. ამის შემდეგ პროექტის ავტორებმა ბორნის შემსრულებლის ძებნა დაიწყეს. განიხილავდნენ ჯეიკ გილენჰოლის, ტობი მაგუირის, ჯოშ ჰარტნეტის, მაიკლ ფასბენდერისა და კრის ევანსის კანდიდატურებს, თუმცა საბოლოო არჩევანი ბოლო დროს ძალიან პოპულარულ ჯერემი რენერზე შეაჩერეს. ამბობენ, რომ რენერმა გაამართლა და ძალიან კარგად შეძლო საიდუმლო აგენტის როლის მორგება, ხოლო რამდენად შეძლო მეტ დეიმონის დაჩრდილვა, ამას 13 სექტემბრიდან ვნახავთ.

20 სექტემბერს გაქირავებაში "ბოროტების სავანეს" მეხუთე ნაწილი გამოდის (Resident Evil: Retribution). ყველამ იცის, რომ ეს ფილმი ძალიან ცნობილ და საკულტო ვიდეოთამაშს ეფუძნება და იციან ისიც, რომ პრაქტიკულად არც ერთი ფილმი არ ვარგა, რადგან თავად რეჟისორი პოლ ანდერსონი (არ აგერიოთ დიდებულ პოლ ტომას ანდერსონში) არ ვარგა. თუმცა, შესაძლოა, ასეთი რადიკალური შეფასება მხოლოდ გეიმერების აზრია, რადგან ეს უკანასკნელნი ვერა და ვერ ეგუებიან, რომ დრემდე მათი საყვარელი თამაშის მიხედვით ერთი ღირსეული ფილმიც არ გადაუღიათ. მიუხედვად ამისა, ანდერსონის "ბოროტების სავანე" ყოველთვის გამოირჩევა სანახაობრიობით, რაც თანამედროვე მაყურებელს ყველაზე მეტად ხიბლავს და იმედია, ასე იქნება ამჯერადაც. სხვა თუ არაფერი, მილა იოვოვიჩისა და მიშელ როდრიგესის ყურებას რა სჯობს... პატარებისთვის ნამდვილად "დიდი გამყინვარება" სჯობს, რომლის მეოთხე ნაწილიც 27 სექტემბერს გამოვა და ამით სექტემბრის აფიშაც დაიხურება.

კიდევ ერთი ხელნაწერი "ვეფხისტყაოსანი"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დღეისათვის პოემის საიუბილეო გამოცემის 1676-ვე სტროფი გადაწერილია, ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურული პროგრამების განყოფილების სტაჟიორმა, თსუ-ს სტუდენტმა ქართლოს მჟავანაძემ მისი თავფურცელის და გვერდების დიზაინი დაამუშავა. როგორც ძველი კალიგრაფების მიერ გადაწერილ წიგნებს, 21-ე საუკუნის ხელნაწერის გვერდებსაც კიდეებზე არშია ექნება. დიზაინერმა ამისათვის ვაზის ლერწი და ფოთოლი აირჩია, თავფურცელზე მტევნების გამოსახულებაც ჩასვა, ხოლო ყოველი თავის სათაურისათვის თაღოვანი ჩუქურთმა გაითვალისწინა.

"ვეფხისტყაოსნის" ყველა გამოცემა დავათვალიერე, რაც კი ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა. ჩემთვის ეს პოემა ქართულ კულტურასთან ისევე ასოცირდება, როგორც ვაზი. ამიტომ ჩუქურთმად ვაზის ფოთლები და მტევნები გამოვიყენე. ამავე დროს, ეს ორნმენტი არც ერთ აქამდე არსებულს არ იმეორებს". - გვითხრა ქართლოს მჟავანაძემ.

ხელნაწერი წიგნის ყოველ გვერდზე, ძირითადად, 4 სტროფი მოთავსდება. პროლოგის პირველი სტროფი ამ პროექტის იდეის ერთ-ერთი ავტორის, კობა ჭუმბურიძის გადაწერილია. ხელნაწერის შესაქმნელად "ებლიტფოს" ჯგუფმა პოემის საიუბილეო გამოცემა აიღო, რომლის კომპიუტერული ვარიანტი მთარგმნელმა ალექსანდრე ელერდაშვილმა შესთავაზათ.

"ვეფხისტყაოსანი" რომ გენიალური ნაწარმოებია, ამაში მხოლოდ ლიტერატურის სპეციალისტთა ანდა პატრიოტთა სიტყვები ვერ დაგვარწმუნებდნენ, ზოგადად ერის განწყობა რომ არა შოთა რუსთაველის ამ პოემის მიმართ. როცა 21-ე საუკუნის მკითხველის ინტერესი ისეთივე მძაფრია, როგორც მისი საუკუნეებისწინანდელი წინაპრების, უნდა ვთქვათ, რომ მართლაც იშვიათ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ბოლო ათწლეულის მონაპოვარმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა ადამიანთა ურთიერთობა საოცრად მჭიდრო გახადა, ხოლო სხვადასხვა ტიპის სოციალურმა ქსელებმა და ინტერნეტ-ფორუმებმა ამ ურთიერთობებს ერთგვარი გამჭვირვალობაც შესძინა. ბოლო პერიოდში "ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით "ფეისბუქზე" რამდენიმე სპეციალური გვერდი გაჩნდა, სადაც სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მკითხველები ამ პოემის ირგვლივ მსჯელობენ, მის ახლებურად გააზრებას და გმირებისა თუ ამბების ფსიქოლოგიურ ანალიზს ცდილობენ.

როგორც "ებლიტფო"-ს მოდერატორმა, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი კილაძემ გვითხრა, ყველაზე მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა პროექტს "ვსაუბრობთ ვეფხისტყაოსანზე". პოემის სხვადასხვა თემატიკაზე მსჯელობა სამჯერ გაიმართა. აქვე არქიტექტორმა კობა ჭუმბურიძემ წამოაყენა იდეა - სკოლაში ბავშვებს თითო სტროფი რომ გადააწერინონ დღეში, მეხუთედან მეათე კლასამდე კი გადაწერენ პოემას მთლიანად, უკეთაც ეცოდინებათ და მეტადაც ეყვარებათო. დისკუსიისას გაირკვა, რომ კრიტიკოს გია არგანშვილს მე-10 კლასში ყოფნისას მართლაც გადაუწერია ხელით ეს პოემა. ხოლო ვიდრე სკოლებში მსგავსი პროექტის განხორციელება დაიწყებოდეს, ლიტერატურის მოყვარულებს გაუჩნდათ სურვილი, მოზარდებისათვის მაგალითი მიეცათ და 21-ე საუკუნის ხელნაწერი შეექმნათ.

გიორგი კილაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე: " ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო სტროფზე ნესტანის წერილიდან: "ჰა, ჩემი ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები". ეს სტროფი პირველმა გადაწერა უხუცესმა ბიბლიოთეკარმა ღეილა ზამბახიძემ და ამიტომ მისი ხელნაწერი შევიდა. გადამწერთა შორის არიან ოჯახები, გვაქვს 7 წლის ბავშვის ხელნაწერიც. ის, რომ "ვეფხისტყაოსანი" სრულიად საქართველოს კუთვნილებაა, და იგი სიმბოლოა განათლებული, ჰუმანური იდეებით გამსჭვალული საზოგადოებისა, გადამწერთა ვინაობაშიც ჩანს. ხელნაწერებს გვიგზავნიდნენ საქართველოში მცხოვრები სომეხი, რუსი, ქურთი, პოლონელი მოქალაქეები, უცხოეთში მცხოვრები ქართველები და ქართველოლოგებიც. ხელნაწერის პირველი ორი გვერდი საზოგადოების სამსჯავროზე უკვე დაიდო, მისი ნახვა დაინტერესებულ მკითხველს "ებლიტფოზე" შეუძლია. გვერდების აკინძვა-დამიშავება მიმდინარეობს და წიგნის პრეზენტაცია 2012 წლის ბოლო ოთხშაბათს შედეგება ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ეს დღე ჩვენთან ლიტერატურული შეხვედრების დღეა ჯერ კიდევ 2007 წლიდან".

შეიძლება ითქვას, რომ დროთა კავშირი აღდგა. პოემის გადაწერა ქართველი კალიგრაფისტებისათვის ყოველთვის საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე იყო. შეიძლება იმიტომაც, რომ არათუ ავტორისეულს, რუსთაველის ეპოქის არც ერთ ხელნაწერს არ მოუღწევია. დღეისათვის არსებულ სხვადასხვა შედგენილობისა და რედაქციის 160-მდე ხელნაწერთა შორის ყველაზე უძველესი 1646 წლით თარიღდება. ისტორიამ 32 გადამწერის სახელი შემოგვინახა. საზოგადოებამ იცის მამუკა თავაქარაშვილის, იოსებ სააკაძე-თბილელის, სულხან საბა ორბელიანის, იოანე ლარაძის, პეტრე ლარაძის, პეტრე ქებაძის, გიორგი თუმანიშვილის, დავით რექტორის სახელები. გადამწერთა შორის იყვნენ მანდილოსნებიც: მანანა ზედგენიძე, ანა თუმანიშვილი-ამილახვარი, ნინო ზედგენიძე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსთაველის პოემის ხელნაწერის შექმნით საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებიც ინტერესდებოდნენ, შემონახულია ზოგიერთის სახელიც: ყაზახაანთ ბეჟოიას ასული, ვინმე გურგენა, გასპარა ბაღდასარიშვილი, იოანე იალღუზის ძე გაბარაევი და სხვები.

რონალდუმ ინიესტას მიულოცა

მოგეხსენებათ "ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა ევროპის საუკთესო ფეხბურთელად დასახელდა. შეგახსენებთ, რომ ანდრესი საუკეთესოდ უეფას წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად დასახელდა.

"რთულია ასეთი აღიარების მოპოვება, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფეხბურთელებს, ვისთანაც კონკურენცია მიწვედა. თუმცა ყოველთვის არსებობს შანსი ასეთი პრესტიჟული ჯილდო მოიგო. გამოგიტყდებით არ ველოდი, რომ მე დამასახელებდნენ, თუმცა იმედი ყოველთვის მქონდა. დაჯილდოვების შემდეგ მხოლოდ დედასთან მოვასწარი საუბარი, რონალდუმ კი გამარჯვება მომილოცა", - თქვა ინიესტამ.

ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი

გერმანული კლუბები სატრანსფერო ბაზარზე ფულის ხარჯვას ყოველთვის ერიდებიან და ძვირადღირებულ ტრანსფერებს არ ახორციელებენ. მიმდინარე სეზონი გარკვეულწილად გამონაკლისია "ბაიერნმა" 40 მილიონ ევროდ ბილბაოს ფეხბურთელი ხავი მარტინესი იყიდა და ამით ბუნდესლიგის რეკორდიც დაამყარა. აღსანიშნავია, რომ ბუნდესლიგის ისტორიაში ხუთი ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერიდან ოთხი "ბაიერნს" ეკუთვნის.

1. ხავი მარტინესი (2012) ბილბაოდან "ბაიერნში" - 40 მილიონი ევრო
2. მარიო გომესი (2009) "შტუტგარტიდან" "ბაიერნში" - 30 მილიონი ევრო
3. ფრანკ რიბერი (2007) "მარსელიდან" "ბაიერნში" - 25 მილიონი ევრო
4. მარსიო ამორუზო (2001) "პარმადან" "დორტმუნდში" - 25 მილიონი ევრო
5. არიენ რობენი (2010) "რეალიდან" "ბაიერნში" 21 მილიონი ევრო

განცხადება

2012 წლის 29 აგვისტოს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის პრესკონფერენცია, რომელსაც წინ უძღოდა მეტად არასასიამოვნო ინციდენტი საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორ გიორგი ზამბახიძესა და სპორტულ ჟურნალისტ როლანდ ლაბუჩიძეს შორის. ზამბახიძემ უხეში ფორმით უკმაყოფილება გამოთქვა ლაბუჩიძის მიერ ადრე გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების გამო და ჟურნალისტს საპრესკონფერენციო დარბაზში შესვლის საშუალება არ მისცა, თანაც კალათბურთის მატჩებზე აკრედიტაციის ჩამორთმევით დაემუქრა. ამას მოჰყვა ურთიერთშელაპარაკება. ლაბუჩიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა სასტუმროს შენობა.

სრულიად აშკარაა, რომ საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორი გიორგი ზამბახიძე გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, დაარღვია სპორტული მოხელისა და ჟურნალისტის ურთიერთობის ელემენტარული ნორმები და ჟურნალისტს ხელი შეუშალა პროფესიული მოვალეობის შესრულებაში. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაემიჯნება საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორის, რბილად რომ ვთქვათ, არაადექვატურ და შეუფერებელ საქციელს, იმსჯელებს ამ დასანანი ინციდენტის თაობაზე, ფედერაციისა და სპორტული მედიის წარმომადგენელთა ურთიერთობა კი კვლავაც ცივილიზებული ფორმით გაგრძელდება.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

ქეცბაიამ და დელ ბოსკემ შემადგენლობები დაასახელეს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

11 სექტემბერს ქეცბაიასა და დელ ბოსკეს გზები გადაიკვეთება

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე ("ემპოლი", იტალია), მათე ვანაძე ("დილა", გორი), ირაკლი სირბილაძე ("ინტერი", ფინეთი)

ეროვნული ნაკრები ბელარუსს 7 სექტემბერს უმასპინძლებს, ხოლო მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონს ესპანეთს - 11 სექტემბერს. ორივე შეხვედრას ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს.

...საქართველოს ნაკრები მზადებას შეუდგება 3 სექტემბრიდან სფფის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე".

"ფურია როხა" მოდის

საქართველოს წინააღმდეგ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლისთვის შემადგენლობას ასახელებს ესპანეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკეც, რომელმაც გუნდში უძლიერეს შემადგენლობას უხმო. საქართველოს ნაკრებთან შეხვედრამდე "ფურია როხა" 7 სექტემბერს შინ ამხანაგურად გაეჯიბრება საუდის არაბეთის ნაკრებს.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დელ ბოსკემ ორივე შეხვედრისთვის შემდეგ ფეხბურთელები გამოიძახა უმთავრეს გუნდში:

მეკარეები: იკერ კასილიასი ("რეალი"), ვიქტორ ვალდესი ("ბარსელონა"), პეპე რეინა ("ლივერპული", ინგლისი).

მცველები: ხერარდ პიკე, ხორდი ალბა (ორივე "ბარსელონა"), სერხიო რამოსი, რაულ ალბიოლი, ალვარო არბელოა (ყველა "რეალი"), ნაჩო მონრეალი ("მალაგა"), ხუანფრანი ("ატლეტიკო").

ნახევარმცველები: სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა, სესკ ფაბრეგასი, ჩავი (ყველა "ბარსელონა"), ბენატ ეჩევერია ("ბეტისი"), ჩაბი ალონსო ("რეალი"), სანტი კასორლა ("არსენალი", ინგლისი), დავიდ სილვა ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი).

თავდამსხმელები: პედრო, დავიდ ვილა (ორივე "ბარსელონა"), ხესუს ნავასი ("სევილია"), ფერნანდო ტორესი ("ჩელსი", ინგლისი), რობერტო სოლდადო ("ვალენსია").

დელ ბოსკემ მომავალი თამაშებისთვის ნაკრებში არ უხმო კარლეს პუიოლს, ხავი მარტინესსა, ხუან მატასა, ალვარო ნეგრედოსა და ფერნანდო ლიორენტეს.

ესპანელები თბილისში 9 სექტემბერს 16:55 საათზე ჩამოვლენ და "თბილისი მარიოტში" დაბინავდებიან.

დუდას სან დიეგო

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

დუდა სანაძე საქართველოს ახალგაზრდულში თამაშის დროს

სან დიეგო კალიფორნიაში მაგარი უბანია. კალიფორნია სან დიეგოში დაიბადა და ადრე, სან დიეგო დამოუკიდებელი მექსიკის ნაწილი გახდა. რვა წლის შემდეგ (1850) სან დიეგო უკვე ამერიკული უბანია. სან დიეგოში პეტკო პარკზე საკაიფო გუნდი, ბეისბოლისტების "პადრესი" შედის და ათ სეზონში ერთხელ, ბლომად გარჩევას იგებს. "პადრესში" სერიოზული პიტჩერი, მისტერ ჯეიკ პივი იყო და ერთ სეზონში, საი იანგის პრიზიც მიიღო. საი იანგს რეგულარულის საუკეთესო პიტჩერს აძლევენ და უკვე კარგი ბიჭი ხარ. პივიც უკვე ისტორიაა და სან დიეგოც ისტორიაა. ამერიკული ისტორია ამერიკელებისთვის. სან დიეგო მშვიდი და დიდი ადგილია. სან დიეგო ჩვენთვისაც საინტერესო თემა გახდა. სან დიეგოში დუდა სანაძე ჩავიდა. სანაძე ძველი, მაგარი, გია სანაძის შვილია და დუდაც კარგი, პერსპექტიული პერსონაჟია. სანაძე საქართველოში თამაშობდა და ბევრს ასწრებდა. მსროლელი, რომელიც ბევრს ისვრის და ერთი-ერთზე ბევრს მოტეხავს, ბევრს გააჩერებს. სანაძე ნორმალური დამცველი და საინტერესო შუთერია. დუდა სან დიეგოს უნივერსიტეტში წავიდა. ისწავლის, კალათბურთს ისწავლის და აქ უკეთესი დუდა ჩამოვა. უკეთესი დუდა საქართველოს ნაკრებისთვის ყველა შემთხვევაში უკეთესი იქნება.

ბილ გრირი (სან დიეგოს საკალათბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი): "გაგვიმართლა, რომ დუდას დონის მოთამაშე დავირტყით. ისვრის ყველა ადგილიდან, ისვრის ბევრს და ბევრს აგდებს. გრძნობს თამაშს, ჭკვიანი ბიჭია და დაცვაში თამაში უნდა გამოასწოროს. გამოასწორებს. უფრო სწრაფ ტიპებთან დაცვაში უფრო სწრაფად უნდა ითამაშოს."

დუდა ოცწლამდელებში, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო. ევროპის ჩემპიონატზე სანაძე 9 ტესტში საშუალოდ 17.2 ქულას, 5.3 მოხსნას და 1.2 პასს იღებდა. დუდა ქულებში ტურნირზე მეორე იყო. ბიჭმა ოთხჯერ 20 და მეტი ქულა აკრიფა. შვედეთს 27 ქულა გაუკეთა და თურქეთს 25 ქულა დაუტოვა.

სანაძესთან ერთად სან დიეგოს ახალ ბანდაში არიან ტექსასელი, ჰიუსტონიდან წამოყვანილი ფორვარდი ტრეი გაიდრი; კიდევ ერთი ჰიუსტონელი, მცველი მაიკ დევისი და ჰოლანდიელი ფორვარდი, ჯიტო კოკი. საინტერესო ხალხია. დუდაც საინტერესო ახალგაზრდაა, რომელიც საქართველოს ნაკრებში უნდა იყოს. კარგი სროლა, ნორმალური სელექცია სროლის დროს, ნორმალური პასი. გია სანაძე სამიანებს საჯარიმოებზე მაგრად უშვებდა და გია იმ გენერაციაში სერიოზული კაცი იყო. დუდას ცოტა სხვა პლუსები აქვს. და ეს პლუსები ყველა ვარიანტში გამოსაყენებელია.

დუდამ კარიერა თბილისის "დინამოში" გახსნა. პირველი სეზონი (**2009-10**), 17.8 ქულა, 3.1 მოხსნა, 1.8 პასი, თამაშიდან სროლების 49.4 % ჩასვა. სანაძე გადადის "რუსთავში" და მონაწილეობას იღებს რეგულარულის 4 გარჩევაში (8.3+4.3 მოხსნა+2.0 პასი, 66.7 %). დუდამ სეზონი "ბათუმში" დახურა - 32.9 წუთში ბიჭი საშუალოდ 21.1 ქულას, 5.8 მოხსნას და 1.6 პასს იღებდა. სოლიდური სტატისტიკა. გაუარესდა პროცენტი (39.6) და ეს ხდება ხოლმე. ბოლო რეგულარული მსროლელმა "დინამოში" მოკლა - 29.7 წუთი, 15.9 ქულა, 3.6 მოხსნა და 1.8 პასი. თამაშიდან სროლების 41.4 % პროცენტი ათიანში ხია და საჯარიმოების 74.7 % გამოიყენა. რესპექტაბელური თემა. სანაძე სუპერლიგაში, კარიერით - 51 ტესტი, 17.1 ქულა, 3.9 მოხსნა, 1.8 პასი, თამაშიდან სროლების 45.0 % ჩასვა, საჯარიმოების 72.4 %. წავა. და ამერიკაში ცოტა სხვა დატვირთვები წავა. ამერიკაში საკალათბურთო ცხოვრება უფრო საკალათბურთოა. სანაძე სამოთხის პირველ დონეზე მოხვდა და თუ მოინდომებს, კიდევ რამდენიმე დონეს გაივლის. ნუ, როგორც ხდება ხოლმე რა...

სან დიეგო კალიფორნიაში მაგარი უბანია. კალიფორნია სან დიეგოში დაიბადა და ადრე, სან დიეგო დამოუკიდებელი მექსიკის ნაწილი გახდა. სან დიეგო მშვიდი და დიდი ადგილია. სან დიეგო ლამაზი და მოსაყოლი ისტორიაა. ამერიკული ისტორია ამერიკელებისთვის. სან დიეგოში დუდა სანაძე ჩავიდა. დუდა სან დიეგოს უნივერსიტეტში წავიდა. იქ ისწავლის, კალათბურთს ისწავლის და აქ უკეთესი დუდა ჩამოვა. უკეთესი დუდა საქართველოს ნაკრებისთვის ყველა შემთხვევაში უკეთესი იქნება.

და მერე უნდა შეასრულოს.

ჩივაძემ ახალგაზრდულის შემადგენლობა დაასახელა

ესტონეთთან უეფას 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასკვნითი მატჩისთვის საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ შეკრებაზე შემდეგ ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: გიორგი ნადირაძე ("სპარტაკი", ცხინვალი), კახა მეშველიანი ("ზესტაფონი")

მცველები: მამუკა კობახიძე, თედო გრიგალაშვილი, (ორივე "ზესტაფონი"), სოლომონ კვერკველია ("ნეფტეხიმიკი" ნიჟნეკამსკი, რუსეთი), გიორგი გაგნიძე, არჩილ ტვილდიანი (ორივე "დინამო", თბილისი), გიორგი ქიმაძე ("ჩიხურა", საჩხერე)

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი, ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპავა, ლაშა ჩაფიძე, ლაშა პარუნაშვილი (ყველა "დინამო" თბილისი), ნიკა ძალამიძე ("იაგელონია", პოლონეთი), ბესიკ დეკანოიძე, დავით კირკიტაძე (ორივე "ჩიხურა", საჩხერე)

თავდამსხმელები: დავით სხირტლაძე ("ორჰუსი", დანია), თორნიკე მუმლაძე ("ჩიხურა", საჩხერე) გიორგი ფანცულაია ("ტორპედო" ქუთაისი), ირაკლი შეყილაძე ("ემპოლი", იტალია)

საქართველოს 21 წლამდე ნაკრები მატჩისთვის მზადებას 3 სექტემბერს დაიწყებს. საქართველოსა და ესტონეთის ახალგაზრდულ გუნდებს შორის შეხვედრას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი 6 სექტემბერს უმასპინძლებს.

ცინცაძე უკრაინაში ითამაშებს

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე კარიერას კიევის "ბუდეველნიკში" გააგრძელებს. ქართველმა უკანახაზელმა უკრაინულ გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ცინცაძე თბილისის "ოლიმპში" გამოდიოდა, ხოლო კარიერის განმავლობაში მას ბათუმის "ბასკოში", მოსკოვის ცსკა-ში, სამარის "ვე-ვე-ესში", ყაზანის "ურალ გრეიტში", მოსკოვის "დინამოში", ესტონეთის" "ტარტუში" და პოლონურ "სოპოტში" უთამაშია.

ცინცაძის ახალი გუნდის მწვრთნელი ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგაცკისია. კიეველებს გიორგი ცინცაძე 11 სექტემბრის მერე შეუერთდება. სწორედ ამ დღეს ასრულებს ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ასპარეზობას.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ კალათბურთელ ჯეიკობ პულენს, რომელმაც გასული სეზონი იტალიურ "ბიელაში" გაატარა ბელგრადის "პარტიზანში" იწვევენ.

აშშ-ის ღია პირველობის უკანასკნელი მოჰიკანი მიდის

ბოლო ათწლეულის საუკეთესო ამერიკელმა ჩოგბურთელმა, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, კარიერაში 32 ტურნირის მომგებმა, მათ შორის აშშ-ის ღია პირველობის 2003 წლის ტრიუმფატორმა და ამავდროულად ამავე პირველობის, ჯერჯერობით, უკანასკნელმა მოჰიკანმა, დღეს კი მსოფლიო რეიტინგის (ATP) 22-ე საფეხურზე მყოფმა ენდი როდიკმა კარიერისთვის წერტილის დასმა აშშ-ის ღია პირველობის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა.

"უბრალოდ ვგრძნობ, რომ წასვლის დრო დადგა. არ ვიცი, რამდენად ვარ ჯანზე და მოტივირებული, რომ კიდევ ერთი სეზონი ვიასპარეზო. ყოველთვის მინდონა, კარიერისთვის წერტილი დამესვა აშს-ის ღია პირველობაზე. ჩემთვის ეს იქნებოდა იდეალური. რამდენი შეცდომა თუ წარუმატებლობაც არ უნდა მქონოდა კარიერაში, მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია - არასდროს არაფერი არ გამიკეთებია სანახევროდ. ახლა კი პირველად ჩემს კარიერაში, ვზივარ თქვენს წინ და ვხვდები, რომ აღარ შემიძლია სრულიად დავიხარჯო ფიზიკურად და ემოციონალურად, - აცხადებს ენდი როდიკი, რომელსაც ხუთშაბათს შეუსრულდა 30 წელი. - ამაზე მთელი წლის განმავლობაში ვფიქრობდი. რჩევას ვეკითხებოდი ახლობლებს, მეგობრებს და მივხვდი, რომ წასვლის დრო დადგა. საკუთარი კარიერის განმავლობაში დიდი ხნის განმავლობაში ვიმყოფებოდი ბრწყინვალე ფორმაში, ყველაზე მტავარი კი ისაა, რომ ყოველ დღე თავით ფეხებამდე თამაშში ვიყავი.

აშშ-ის ღია პირველობაზე ყოველთვის ვხარობდი მიღებული ენერგიით. აქ ნიუ იორკში მუდმივად წარმოდგენაა. მიხარია, რომ მეც რაღაც როლი მიმიძღოდა ამ წარმოდგენაში, რომ რაღაც დოზით ვიყავი მისი ნაწილი".

ენდი როდიკს, რომელსაც პროფესიული კარიერის განმავლობაში მოგებული აქვს 607 შეხვედრა და უწვნევია 209 წაგება, 2004, 2005 და 2009 წლებში კი უთამაშია უიმბლდონის ფინალში, სადაც ამდენივეჯერ შვეიცარიელ როჯერ ფედერერთან დამარხცდა, ვიდეო თამაშების დიდი მოყვარულია. განსაკუთრებით კი ორთაბრძოლათა ამსახველი ვიდეოთამაშები იზიდავს.

"მოთამაშეთა მისაღებში არაერთხელ შევსულვარ რეგისტრაციის გარეშე. მინახავს თუ როგორ თამაშობდა პიტ სამპრასი ვიდეოთამაშებს. დარწმუნებული ვარ პიტთან Mortal Kombat (ფანტასტიკური ჟანრის ორთაბრძოლების ამსახველი ვიდეო თამაში, რომელიც გამოირჩევა სისხლიანი სცენების დიდი რაოდენობით), რომ მეთამაშა დავამარცხებდი".

და ბოლოს, ენდი როდიკი ჩრდილო ამერიკის საჩოგბურთო სკოლის წარმომადგენელთაგან ბოლოა, ვინც აშშ-ის ღია პირველობა მოიგო. 2003 წლის აშშ-ის ღია პირველობის ფინალში როდიკმა ესპანელი ხუან კარლოს ფერერო 6:3, 7:6 (7:2), 6:3 დაამარცხა.

ენდი როდიკი ერთადერთი არაა, რომელმაც კარიერის დასრულება აშშ-ის ღია ჩემპიონატზე გადაწყვიტა. რამდენიმე დღით ადრე იგივე განცხადება გააკეთა ბელგიელმა კიმ კლაისტერსმაც.

გრიმალდებში ევროპის ლიგას უყარეს კენჭი

ქართული საფეხბურთო სამყარო გორის "დილას" იმედიანად შეჰყურებდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი არ გამოვიდა. ქართულ გუნდს, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად არც ამჯერად ეყო ძალა და ევროპული საფეხბურთო მოედნების მიღმა დარჩა. არადა, პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" წარმატების შემთხვევაში საქართველოს თასის მფლობელი D ჯგუფში ფრანგულ "ბორდოსთან", ბელგიურ "ბრიუგესთან" და ინგლისურ "ნიუკასლთან" მოხვდებოდა, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს კი მიეცემოდა შანსი ევროპული ლიგის თამაშები საკუთარ კედლებშიც ეხილა. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია ყოველივეს შორიდან მივადევნოთ თვალყური.

მონაკოში, გრიმალდების სასახლეში ევროპის ლიგის 2012-2013 წლების ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაზე გაირკვა ჯგუფის ბინადართა ვინაობა. ჯგუფური ეტაპის თამაშები კი გაიმართება მიმდინარე წლის ბოლომდე. პირველი ტური 20 სექტემბერსაა დანიშნული, მეორე - 4 ოქტომბერს, მესამე - 25 ოქტომბერს, მეოთხე - 8 ნოემბერს, მეხუთე - 22 ნოემბერს, დასკვნითი ტურის მატჩები კი 6 დეკემბერს შედგება.

A ჯგუფი
ლივერპული (ინგლისი)
უდინეზე (იტალია)
იანგ ბოისი (შვეიცარია)
ანჟი (რუსეთი)

B ჯგუფი
ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი)
თელ ავივი (ჰაპოელი, ისრაელი)
პლზენი (ჩეხეთი)
აკადემიკა (პორტუგალია)

C ჯგუფი
მარსელი (საფრანგეთი)
ფენერბახჩე (თურქეთი)
მიონხენგლადბახი (გერმანია)
აელ-ი (კვიპროსი)

D ჯგუფი
ბორდო (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია)
ნიუკასლი (ინგლისი)
მარიტიმუ (პორტუგალია)

E ჯგუფი
შტუტგარტი (გერმანია)
კოპენჰაგენი (დანია)
სტიაუა (რუმინეთი)
მიოლდე (ნორვეგია)

F ჯგუფი
პსვ (ჰოლანდია)
ნაპოლი (იტალია)
დნიპრო (უკრაინა)
აიკი (შვედეთი)

G ჯგუფი
სპორტინგი (პორტუგალია)
ბაზელი (შვეიცარია)
გენკი (ბელგია)
ვიდეოტონი (უნგრეთი)

H ჯგუფი
ინტერი (იტალია)
რუბინი (რუსეთი)
პარტიზანი (სერბეთი)
ნეფტჩი (აზერბაიჯანი)

I ჯგუფი
ლიონი (საფრანგეთი)
ბილბაო (ესპანეთი)
სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)
კირიათ შმონა (ისრაელი)

J ჯგუფი
ტოტენჰემი (ინგლისი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ლაციო (იტალია)
მარიბორი (სლოვენია)

K ჯგუფი
ლევერკუზენი (გერმანია)
მეტალისტი (უკრაინა)
რუსენბორგი (ნორვეგია)
რაპიდი (ვენა, ავსტრია)

L ჯგუფი
ტვენტე (ჰოლანდია)
ჰანოვერი (გერმანია)
ლევანტე (ესპანეთი)
ჰელსინგბორგი (შვედეთი)

ლატვიამ მირზა კუთხეში მიაყენა

ალექსანდრე ასათიანი

ლატვიამ ბოსნიაში სამი ქულა წააგო (84:87). უნდა მოეგო და წააგო. ლატვიამ თბილისში სამი ქულა წააგო (76:79). უნდა წაეგო და წააგო. ლატვიამ რიგაში ბოსნია დაშალა, მირზა ტელეტოვიჩმა ცუდად შეასრულა დავალება და ლატვიამ ჯგუფში პირველი ადგილი დაირტყა. რთულ, რაღაც მომენტში, თანაბარ ჯგუფში სტაბილური ლატვია პირველზეა და საქართველოს საკუთარ ტერიტორიაზე ხვდება. მაგარი გარჩევა წავა. ის თამაში 8 სექტემბერს იქნება. მანამდე სხვა პრობლემებია მოსაგვარებელი. ჩვენ რუმინეთში გვაქვს მოსაგები და ლატვიამ ჰოლანდიაში არ უნდა იცელქოს. რიგაში ლატვიამ 80:64 აუწია ყური ტელეტოვიჩის ახლობლებს. სხვაობა ბოლოში ცოტა დაიქაჩა, თორემ უფრო უხერხული იყო. ბოსნიაც უხერხული, უმუღამო, დაღლილი იყო. უკეთესმა და მომგებმა მოიგო. კიდევ ერთი ტესტი ჰოლანდიაში მორჩა. იქაც მომგებმა, ჰოლანდიამ მოიგო.

ლატვიაში ყველა ისვრის და კალათბურთთან ყველა ახლობლობს. აინარს ბაგაცკისის გუნდში არ არიან ზედმეტი, მობალასტო ტიპები. ჩვენი ნაკრების ძველი ქოუჩი ერთ-ერთ ბიჭზე რომ ამბობდა, მაგარი იგროკია, პროსტა სროლა არა აქვს და ზაშიტაში მაგრა ზისო, ლატვიაში ეგრე არ საუბრობენ. იქ სროლაც ყველას აქვს და დაცვაშიც ყველა ასწრებს საქმის კეთებას. კალათბურთელი, იდეაში, ალბათ, ცუდად არ უნდა ისროდეს, ხო?

ბოსნიასთან დაგლიჯა დაირის ბერტანსმა. კარგი პირველი ნომერი, რომელმაც თბილისში 3 სამიანი ხია, 13 ქულა და 3 პასი წამოიღო და პრობლემები შექმნა. ბოსნიასთან ბერტანსი პირველი კაცი იყო. ჩასაგდები ჩაყარა (25), მოსახსნელი მოხსნა (9) და 6 პასიც დატოვა. ამ ენერჯაიზერთან ერთად ლატვიამ +24 მიიღო. სხვებმაც აკრიფეს.

ტელეტოვიჩზე კასპარს ბერზინსი ავიდა და მირზას ერთი მიარტყა, მერე კიდევ ერთხელ შეუქმნა დისკომფორტი და ბოსნიის ბოსი აიჭრა. ტელეტოვიჩი მშვიდი ჰიტმენია და ლატვიასთან უსისტემოდ სროლა დაიწყო. მირზამ 16 სროლიდან მხოლოდ 4 გამოიყენა, გუნდს -18 დაუტოვა და ბოლო წუთებზე ტელეტოვიჩი იჯდა, ისვენებდა. ბოსნიამ ლიდერის, პოპულარული ტიპის გარეშე დახურა ლატვიური ვოიაჟი. უკეთესი იყო. მირზა დაისვენებს, აზრზე მოვა და შემდეგ ტესტებში ისევ ტელეტოვიჩი იქნება.

ბერზინსმა 30 წუთი მიიღო და ლატვიამ ამ დროში 8 ქულა და 6 მოხსნა დაირტყა. კარგ, აკურატულ, აგრესიულ დაცვასთან ერთად. ბერზინსს ნორმალური საკვალიფიკაციო ციკლი აქვს. მაღალი (211) ბიჭი ერთ გასაუბრებაში საშუალოდ 9.8 ქულას, 7.4 მოხსნას, 1.8 დაფარებას და 1.0 ჩაჭრას იყრის პენალში. ბერზინსი ნიჭიერი მოსწავლეა. ტელეტოვიჩი სხვა დონეზე დგას, მაგრამ იმ ერთ, კონკრეტულ თამაშში მირზა გააჩერეს. ცუდი ტელეტოვიჩით ბოსნიაც მაგარი ცუდია. როგორც ყოველთვის.

დაირის ბერტანსმა ბოსნიას 25 ქულა გაუკეთა

ბოსნიამ პირველი მეოთხედი მოიგო და მერე ლატვიამ პერიმეტრზე შუთერები დააყენა. რიჰარდს კუკსიქსმა გაუშვა სამიანი, არტურს ბერზინსმა საშუალო ჩააგდო და ლატვია გაიქცა. სამიანები ორივე გუნდმა ცუდად ისროლა. ლატვია - 24/6. ბოსნია - 12/3.

ლატვია ერთი თამაშით ბოსნიაზე რეალური, ნორმალური, საინტერესო გუნდია. იდეაში, ალბათ არა მარტო ერთი თამაშით. ბოსნია უფრო ინდივიდუალურად გელაპარაკება, ტელეტოვიჩის რბილი მაჯით გკლავს. ლატვიაში ყველას რბილი მაჯა აქვს. და ლატვიაში ჩასასვლელები ვართ. მურტალი თამაში იქნება. ჯანმრთელი ვიქტორით, ჩვეულებრივი მანუჩარით და მოტივირებული ზაზათი რიგაში მოგება მოსულა, რეალურია. უბრალოდ, ძალიან რთული იქნება. მართლა ძალიან რთული. ლატვია ჯერ პირველზეა.

აინარს ბაგაცკისი (ლატვია, მთავარი მწვრთნელი): "სარაევოში, ორი კვირის წინ მძიმე თამაში წავაგეთ. დღეს ბოსნია მოუმზადებლად ისროდა თამაშიდან. ჩვენ აკურატულად გავაკეთეთ საქმე. როგორც გუნდურად, ასევე - ინდივიდუალურად. 19 პასიც მშვენიერია. ექვს დღეში უნდა დავივიწყოთ, რომ ჰოლანდიაში მხოლოდ ფეხბურთის თამაში იციან."

ალექსანდრ პეტროვიჩი (ბოსნია, მთავარი მწვრთნელი): "ლატვია უკეთესი იყო. თამაში მეორე მეოთხედის პირველ ხუთ წუთში წავაგეთ. ხდება ხოლმე. იმ მომენტში ვიდექით, ლატვიამ ზედიზედ 14 ქულა აიღო და ჩვენზე სწრაფი, ბევრად სწრაფი იყო. ეს არ იყო მოულოდნელი. თუ საკუთარ ტერიტორიას ვერ იცავ და მეორე გუნდის პირველ შეტევას ვერ აჩერებ, ყველა ვარიანტში წააგებ. ჰოლანდიასთან სახლში უნდა მოვიგოთ."

D ჯგუფი

ლატვია (3:2)-**ბოსნია** (3:2) **80:64**
16:19, 26:11, 24:19, 14:15

ლატვია: დაირის ბერტანსი (**25**+9 მ+6 პ), მეიერსი (**16**+4 მ), დავის ბერტანსი (**11**+7 მ), კ.ბერზინსი (**8**+6 მ+2 ჩ+2 დ), შტრელნიექსი (**5**+5 მ+5 პ+2 ჩ), კუკსიქსი (**5**+7 მ+4 პ+2 ჩ), მეიერისი (**4**+4 მ+3 პ), სელაკოვსი (**2**+3 მ), იერომანოვსი (**2**), ფრეიმანისი (**2**).

ბოსნია: რაითი (**16**+7 მ+4 პ), დედოვიჩი (**16**+4 მ+3 პ), ტელეტოვიჩი (**13**+3 მ), კიკანოვიჩი (**8**+3 მ), პერშიჩი (**7**+7 მ), ბუზა (**2**), მიტროვიჩი (**2**).

ჰოლანდია (2:3)-**რუმინეთი** (1:4) **81:76**
15:12, 16:18, 21:18, 28:26

ჰოლანდია: სმიოლდერსი (**18**+14 მ), იანსენი (**17**+6 პ), ნორელი (**12**+7 მ), დე იონგი (**10**+5 მ+3 პ+2 ჩ), სლაგტერი (**9**+3 ჩ+2 მ), ელსონი (**6**+8 მ+2 ჩ), აკერბომი (**6**+3 მ), კანინგემი (**2**+2 მ).

რუმინეთი: მოლდოვეანუ (**21**+4 მ+3 ჩ), ნიჩოარა (**20**+9 მ), მანდაჩე (**11**+5 მ+2 პ), პაული (**8**+5 მ+3 პ+2 ჩ), დრაგუშინი (**6**+7 მ), სილვაშანი (**3**), ჩალოტა (**3**+3 პ), ბაჩუ (**2**+2 მ).

1. ლატვია	3:2	414:353	8
2. ბოსნია	3:2	437:428	8
3. საქართველო	**3:1**	**343:326**	**7**
4. ჰოლანდია	2:3	414:444	7
5. რუმინეთი	1:4	360:417	6

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია